ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 3 ივლისი, 2018 | №155 (7700) | ფასი: 60 თეთრი

ედუარდ სააკაშვილის მეუღლე
მადინა მელა
სანდრა რულოვსს ძალიან ჰგავს

გვ.2

3 ივლისიდან
ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ქართული დეტექტივი ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ზაზა სარალიძემ შვილის მკვლელების დასჯის მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო

გვ.4

ზვიად კუპრავა: „ხორავას ქუჩაზე ფარდული კახა სირაძემ მირზა სუბელიანის დავალებით დაანგრია“

გვ.3

თემირლან მაჩალიკაშვილი და ახმედ ჩატაევი ნათესავები იყვნენ

სად აპირებდა თავის აფეთქებას თბილისში თემირლან მაჩალიკაშვილი

გოგი წულაია: „რაფერც მთავრობის დამტკიცებას დეიწყებენ, ერთი სიურპრიზი ჩემზეა“

გვ.3

„გველებს კარგად განვითარებული ინტუიცია აქვთ. ეტყობა იგრძნეს, პარლამენტში მათი სულიერი მეგობრები რომ იყვნენ და მიაკითხეს“

„ოცნებას“ მარგველაშვილის საპირწონე საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავს“

გვ.2

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენა მარგველაშვილისთვის წამგებიანი იქნება“

„მამუკა ბახტაძე ბანკებს ვერ მოერევა“

გვ.5

დემურ გიორხელიძე: „მარტო მთავრობის შემცირება არაფერს მოგვცემს, ის ეფექტურიც უნდა გახდეს“

სამართალი გვ.7

„ქართული მარშის“ წევრები სასამართლომ გაათავისუფლა

ლუკა ნაცვლიშვილი და ლავრენტი მაღლაკელიძე 7.000-7.000-ლარიან გირაოს გადაიხდიან

კახა კახიშვილმა სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულება დახურა



ოზურგეთში დის მკვლელობისთვის 80 წლის მამაკაცს 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება

ეკონომიკა გვ.6

ეკონომიკური დანაშაულის 50%-ზე მეტი ფულადსაკრედიტო სისტემაზე მოდის

უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების 98% ძველია

საგადასახადო და საბაჟო კოდექსების ახალი ვარიანტები მზად შემოდგომაზე იქნება

ISSN 1987-9385

5 „სოციალურ მიმართულებებზე აქცენტი შეცდომაა, რადგან საქართველო არ არის მხოლოდ პენსიონერების და ავადმყოფების ქვეყანა“

2 „ჯორჯია კაპიტალი“ ევექსში საკუთარ წილს ყიდის

7 ავტომობილების ტექნიკურ ინსპექტირებას 1.200 ჭკვიანი კამერა გააკონტროლებს

8 ჯონ ბოლტონი: „ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია!“

„ოცნებას“ მარგველაშვილის საპირწონე საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავს“

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენა მარგველაშვილისთვის წამგებიანი იქნება“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებსა და კანდიდატებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრეზიდენტ მარგველაშვილს მოქალაქეობის აღდგენა მოსთხოვა, ლაჩრულად წამართვი და ახლა თუ ვაჟკაცი ხარ, დამიბრუნეო. ეს არის პოლიტიკის ნაწილი, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნები კარს არის მომდგარი და ის უკვე გამოცდილ მეთოდს იყენებს თუ მას მართლაც უნდა საქართველოში დაბრუნება?

– სააკაშვილს ამ ხერხისთვის არაერთგზის მიუმართავს და ახლაც იგივეს აგრძელებს. ეს არის ხელისუფლებაზე ფსიქოლოგიური გავლენა, ფსიქოლოგიური შეტევა, რომელიც სააკაშვილს არ ესწავლება. ამ საქმის სპეციალისტია. მას უნდა, რომ ამ გზებით ხელისუფლება ანერვიულოს. გაუთავებელ „ჩამოვდივარ“-ს კონკრეტული ადრესატი ჰყავს და ის არა მხოლოდ ხელისუფლებაა.

– და კიდევ ვინ არის?

– ამომრჩეველი. სააკაშვილმა ხომ მშვენივრად იცის, რომ ჩამოვიდეს, აეროპორტშივე დაიჭერენ და ვანო მერაბიშვილს გვერდით მიუსვამენ.

– და იქნებ ეს აწყობს, პოლიტიკური რეანიმაციისთვის?

– არ არის გამორიცხული, მაგრამ ამისთვის გამბედაობაა საჭირო. თან აქამდე ამას ბევრჯერ იზამდა, თუ ეს იყო მისი მიზანი, ხომ ბევრჯერ უთქვამს, რომ ჩამოდის, მაგრამ ჩამოსული ჯერ არ გვინახავს. ამიტომ გამორიცხულია, რომ სააკაშვილი ამ პირობებში საქართველოში დაბრუნდეს.

რაც შეეხება მოქალაქეობას, სამართლებრივად აბსოლუტურად სწორია პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რადგან ჩვენ ვიცით, რომ სააკაშვილისთვის მოქალაქეობა არავის ჩამოურთმევია და ასეთი რამ არ ხდება სამართლებრივად. პირი როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობას იღებს, ის ავტომატურად კარგავს იმ ქვეყნის მოქალაქეობას. სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და საქართველოს მოქალაქეობა ამიტომაც დაკარგა ავტომატურად. ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო.

სხვა პოლიტიკურ სიტუაციაში, სხვა პოლიტიკურ რეალობაში შეიძლებოდა კეთილი ნების გამოვლენა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტისთვის, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური რეალობა ამის საშუალებას არ იძლევა.

– მარგველაშვილმა სააკაშვილს რომ აღუდგინოს მოქალაქეობა, ალბათ რთული წარმოსადგენი არ არის, რა შეიძლება ამას მოჰყვეს თუნდაც ხელისუფლების მხრიდან და ზოგადად.

– რასაკვირველია, ეს ალბათ ცხადზე ცხადია. მარგველაშვილს არავითარი სტიმული, არავითარი არგუმენტი არ აქვს, რომ სააკაშვილს აღუდგინოს მოქალაქეობა. ოფიციალურადაც კი არ მიუმართავს. სიტყვიერ განცხადებას სიტყვიერად უპასუხა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ.

– პოლიტიკურად რამდენად მომგებიანი იქნება მარგველაშვილისთვის, რომ სააკაშვილს მოქალაქეობა აღუდგინოს?

– მარგველაშვილისთვის დღევანდელ სიტუაციაში მომგებიანი ნამდვილად არ იქნება. მით უმეტეს, თუ ის თავისი კანდიდატურის დაყენებას აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებზე.

– დააყენებს თავის კანდიდატურას?

– მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ შეიძლება მას რეალური მოტივაცია ჰქონდეს, რომ საკუთარი კანდიდატურა დააყენოს. ყველა გარემოების აწონ– დაწონვა და შეფასება დღეს მარგველაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.

– რატომ?

– როგორც ჩანს, „ქართულმა ოცნებამ“ შესაბამისი, ადეკვატური კანდიდატი ვერ მოძებნა. დღეს აშკარაა, რომ „ოცნებას“ მარგველაშვილის საპირწონე კანდიდატი არ ჰყავს.

– ხელისუფლების სამიზნე მარგველაშვილია? „ოცნებას“ მისი კანდიდატის საპირწონედ სწორედ მარგველაშვილი წარმოუდგენია?

– „ოცნებას“ შიდა განხილვებში აქცენტი მხოლოდ მარგველაშვილზე აქვს და სწორედ მარგველაშვილია ამ განხილვებში საპირწონე. ხელისუფლება დღეს თავის მოწინააღმდეგედ მხოლოდ მარგველაშვილს განიხილავს, სხვას ვერავინ. ამიტომ „ოცნება“ ბოლო წუთამდე ეძებს ადეკვატურ კანდიდატს, მაგრამ ის არ ჩანს. იქამდეც კი რომ მივა ლაპარაკი, რომ სალომე ზურაბიშვილიც კი შეიძლება განიხილებოდეს, ე.ი. „ოცნების“ კადრების საკითხი კარგად არ არის.

– „ოცნების“ სათადარიგოთა სკამი მოკლეა?

– მე ვიტყოდი, მით უფრო ამ სამთავრობო ცვლილების ფონზე, რომ საერთოდ არ არსებობს და ეს სკამი ბუხარში დაიწვა.

– ერთ-ერთი ბოლო კულუარული ინფორმაცია ლადო ჭანტურიაზე იყო.

– დიახ, იყო, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ასეთი თანხმობა არ არის. ლადო ჭანტურიას პირადად ვიცნობ, ის ბრწყინვალე სპეციალისტია, ევროპული დონის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამართალმცოდნეა. უხეშად რომ ვთქვა, რას უნდა შეჰპირდნენ, რომ დაიყოლიონ, უარი თქვას იმაზე, რასაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლეობა ჰქვია.

ერთ-ერთი ვერსიით, ქალბატონი ცქიტიშვილის კანდიდატურაც განიხილებოდა. მოქმედ პოლიტიკაში მაია ცქიტიშვილს ერთ-ერთი ყველაზე კარგი პერსპექტივა აქვს, პოლიტიკური კარიერის თვალსაზრისით. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მუშაობა შეუძლია, როგორც მენეჯერს, როგორც ხელმძღვანელს, რომელსაც უკვე აქვს გარკვეული ავტორიტეტი. ვერ წარმომიდგენია, რომ უცებ პენსიაზე გავიდეს.

– პრეზიდენტობას ასე განიხილავთ?

– ასე ჩვენი კონსტიტუცია განიხილავს. კონსტიტუციის თანახმად, ეს არის საპენსიო თანამდებობა და სხვა არაფერი. ამიტომ არის, რომ ევროპაში, სადაც ჩვენი ტიპის კონსტიტუცია მოქმედებს და საპარლამენტო მოდელია, ასაკში შესული, უკვე კარგი პოლიტიკური გამოცდილების მქონე, გაწონასწორებული პრეზიდენტები არიან, რომელთაც არავითარი ამბიცია არ უჩნდებათ, რომ პოლიტიკურ პროცესებში ჩაერიონ. ისინი არიან არბიტრები და ცერემონიალებში იღებენ მონაწილეობას. ამიტომაც ვამბობ, რომ საპენსიო თანამდებობაა და არც ერთი მაღალი დონის პოლიტიკოსი, რომლის ამოცანაც არის პოლიტიკის კეთება, არ დათანხმდება ამ თანამდებობას.

– კანდიდატს ექნება მნიშვნელობა თუ „ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატი გაიმარჯვებს, ვინც უნდა იყოს?

– პატიოსან არჩევნებში „ოცნების“ ვერც ერთი კანდიდატი, ლადო ჭანტურიაზე აღარ ვსაუბრობ, გიორგი მარგველაშვილს პირველივე ტურში ვეღარ დაამარცხებს. ამ შემთხვევაში მეორე ტურის ალბათობა ძალზე დიდია.

– ზაფხული პოლიტიკურად მკვდარი სეზონია, რატომ იგვიანებენ კანდიდატები, ამას რითი ხსნით?

– პირველ რიგში, მე მაინც მგონია, რომ სხვა ტიპის პრეზიდენტს რომ ვირჩევთ, ესეც გარკვეულ გავლენას ახდენს ამ ყველაფერზე. მეორე, სახელისუფლო პარტიას არ ჰყავს კანდიდატი დასახელებული და ოპოზიცია ან უპარტიო კანდიდატი როგორ დაასახელებს საკუთარ კანდიდატს?! ყველა სახელისუფლო გადაწყვეტილებას ელოდება. რა ტიპის კანდიდატს დაასახელებს, ვინ იქნება კანდიდატი, ამას ყველაფერს აქვს მნიშვნელობა.

ასევე, იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რა როლი ექნება ამ ყველაფერში ბიძინა ივანიშვილს. ის აქტიურად ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში თუ განერიდება პროცესებს, როგორც ეს კალაძის შემთხვევაში გააკეთა. ამ ყველაფერს, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს.

– ივანიშვილს, მარგველაშვილმა რომ არ გაუმართლა, ეს აბრკოლებს კანდიდატის შერჩევის პროცესში?

– არა, ეს ივანიშვილზე არ მოქმედებს, რაც მან არაერთგზის დაამტკიცა შემდგომი საკადრო პრიორიტეტებით. ერთხელ შევცდი, მეორედ არ შევცდები, ამ ლოგიკით მოქმედებს.

ედუარდ სააკაშვილის მეუღლე მადინა მელა სანდრა რულოვსს ძალიან ჰგავს

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ვაჟის, ედუარდ სააკაშვილის, რჩეული მადინა მელაა, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა სვარტმორის კოლეჯში.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ედუარდ სააკაშვილზე გაკეთებული სიუჟეტის დროს, ის მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას როგორც მისი შვილის შეყვარებული, ისე წარუდგინა.

ედუარდ სააკაშვილის და მადინა მელას ამბავი, კიდევ ერთხელ აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც სააკაშვილმა მათი ქორწინების შესახებ 1 ივლისს რუსთავი 2-ის ეთერში ისაუბრა.

ფეისბუკის მომხმარებლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ის ფაქტი, რომ მადინა ძალიან ჰგავს ედუარდის დედას, საქართველოს ყოფილ პირველ ლედის, სანდრა რულოვსს.

ნიუპოსტი

„ჯორჯია კაპიტალი“ ევექსში საკუთარ წილს ყიდის

საინვესტიციო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“, რომელიც „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის ყველა არაპროფილურ აქტივს მართავს, მათ შორის საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსაც (ევექსი) 2018 წელს, ამ ბიზნესში თავისი წილის გაყიდვას გეგმავს.

ეს ინფორმაცია „კომერსანტმა“ „ჯორჯია კაპიტალის“ 2018 წლის 1 კვარტლის ანგარიშში მოიძია:

2018 წლის პირველი კვარტლის ანგარიშის მიხედვით, „ჯორჯია კაპიტალის“ ბალანსზე „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდი აქტივი.

ცნობილია, რომ „ჯორჯია კაპიტალის“ ბორდის გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულ იქნა 2017 წლის დეკემბერში, „ჯორჯია კაპიტალის“ წილი „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში“ (ევექსი) შემცირდება 57% პროცენტიდან 50%-მდე.

რატომ გეგმავს „ჯორჯია კაპიტალი“ „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (ევექსი) გაყიდვას, როცა ამ ბიზნესის განსავითარებლად კომპანიამ ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსების შედეგად 2015 წლის ნოემბერში 100 მილიონი დოლარის დამატებითი მოცულობის კაპიტალი მოიზიდა?

ამ კითხვით „კომერსანტმა“ „ჯორჯია კაპიტალს“ უკვე მიმართა. კომპანიაში დაადასტურეს, რომ გეგმავენ წილის გასხვისებას:

ვთვლით, რომ საქართველოს ჯანდაცვის კომპანიამ განვითარების ახალ ეტაპს მიაღწია, როდესაც საქართველოს კაპიტალმა კომპანიის კონტროლი საჯარო ინვესტორებს უნდა დაუთმოს და, შესაბამისად, ვგეგმავთ საქართველოს კაპიტალის მფლობელობაში არსებული წილის გასხვისებას 49.9%-მდე.

კომერსანტი დაინტერესდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციების ვაჭრობის ტენდენციით. როგორც აღმოჩნდა, ბოლო ერთი წელია, რაც აქციების ფასი დაღმავალი ტრენდით ხასიათდება.

„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციების ფასი „bloomberg“-ის მონაცემებით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე 52 კვირის განმავლობაში 29.3 %-ით დაეცა. აქციის ფასი 385 გირვანქა სტერლინგიდან 234 გირვანქა სტერლინგამდე იცვლებოდა. კომპანიის 1 აქციის ფასი ბოლო მონაცემებით 253 გირვანქა სტერლინგია. ბოლო ვაჭრობისას აქციის ფასმა 251,5 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციების – 29,3 %-ით გაუფასურება და დაღმავალი ტრენდი ცალსახად ნეგატიური ტენდენციაა.

სამედიცინო კორპორაცია ევექსი დღეისათვის საქართველოს 6 რეგიონში 78 კლინიკით არის წარმოდგენილი. ამ ბიზნესის განვითარების მიზნით, „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ (GHG Healthcare) ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსებით 100 მილიონი დოლარის მოცულობის კაპიტალი მოიზიდა. აქციების ვაჭრობის შედეგად მოზიდული ინვესტიცია სამედიცინო კორპორაცია ევექსის კლინიკების ქსელის შემდგომ განვითარებას უნდა მოხმარებოდა. ბირჟაზე რეპო ოპერაციის დროს „ევექსის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ გამყრელიძემ განაცხადა, რომ მოზიდული კაპიტა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გოგი წულაია: „რაფერც მთავრობის დამტკიცებას დეიწყებენ, ერთი სიურპრიზი ჩემზეა“

„გველებს კარგად განვითარებული ინტუიცია აქვთ. ეტყობა იგრძნეს, პარლამენტში მათი სულიერი მეგობრები რომ იყვნენ და მიაკითხეს“

შორენა მარსაგიშვილი

გასულ კვირას „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გოგი წულაიამ საკრებულოების თავმჯდომარეებს მახათები გაუგზავნა. წულაიას საჩუქარს თავმჯდომარეების ნაწილი გაგებით მოეკიდა. მხოლოდ წყალტუბოს საკრებულოს ბოსი გამოვიდა წყობილებიდან.

ვისი დამსახურებით მომრავლდნენ პარლამენტის შენობის წინ ქვეწარმავლები, რისკენ უბიძგებს ხელისუფლება ხალხს, რა სიურპრიზს უმზადებს მთავრობას, სად უშვებს საზოგადოება შეცდომას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ გოგი წულაია ესაუბრება.

გოგი წულაია:

– საკრებულოების თავმჯდომარეებს სრულიად დამსახურებულად გავუგზავნე მახათები. იმდენ სულელურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ, მათზე ალალია ეს საჩუქარი. ის არ იკმარეს, რომ ქვეყანა თავზე ჩამოიმხეს და ახლა დაცინვაც დაგვიწყეს. ვინმემ გამაგებინოს, ცხოველებს სექსი როგორ უნდა ოუკრძალო? საინტერესოა იგიც, რაფერ გააკონტროლებს ამას ხაშურის გამგეობა.

ამ მახათებით საკრებულოებს დავცინე და ხალხსაც მოვუწოდე გამოფხიზლებისკენ. მეტი რა ვქნა აბა? ვცდილობ, ყველა გზას მივმართო, რათა ხალხი გამოვაფხიზლო და მათი ყურადღება იმ პრობლემებისკენ მივმართო, რაც დღეს ქვეყანაშია.

– თქვენი აზრით, მახათების გაგზავნით ხალხის გამოფხიზლება შესაძლებელია? საზოგადოებამ ამაზე მაგრად იხალისა, მაგრამ მეტი არაფერი მოჰყოლია ამას.

– მე არც ველოდი, რომ მახათების შემდეგ რევოლუცია დეიწყებოდა. ჩემი მიზანი იყო, ხალხს გაღიმებოდა და ღიმილით ეთქვა ხელისუფლებისთვის ის, რასაც იმსახურებენ.

– საკრებულოებში მახათებთან ერთად პატარა ნემსებიც გაგზავნეთ და ისინი ვისთვის იყო განკუთვნილი?

– საკრებულოს, თავმჯდომარის გარდა, წევრებიც ჰყავს. სულელური გადაწყვეტილებების მიღებაში ისინიც მონაწილეობენ და მათ ასე ხომ არ დავტოვებდი. მათაც სჭირდებათ ყურადღების გადატანა და გოვუგზავნე ნემსები, იქნება სხვა რამეზე გადაიტანონ ყურადღება.

ის, რაც თვითმმართველობებში ხდება, არის ქვეყნის სირცხვილი და ტრაგედია. მთელ ქვეყანას არ მოვედები და ჩემი მშობლიური ქუთაისის მაგალითზე მოგახსენებთ, რაც ხდება. ქუთაისის მერიაში 800-დან 900 კაცამდე მუშაობს. ბახტაძე და მისი მიმდევრები რომ გაჰკივიან, მცირე მთავრობაო, ეგია მცირე მთავრობა.

მცირე მთავრობის ძახილი არანაირ შედეგს არ მეიტანს თუ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ხალხის რაოდენობა არ შემცირდა. მათი შენახვა ჩვენს ბიუჯეტს ძალიან ძვირი უჯდება.

როგორც გევიგე, საკრებულოს თავმჯდომარეებს სწყენიათ, მახათები რომ გავუგზავნე. ეწყინათ და ეწყინოთ, რა ვუყო ახლა მე. შეუძლიათ ცივი წყალი დალიონ. ქვეყნის წყენას, ჯობია, ისევ ამგენს ეწყინოს და ეტკინოს.

– განსაკუთრებით ერთი თავმჯდომარე გამწარდა და განაცხადა, წულაიამ თავად გამოიყენოს ეს მახათიო.

– წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარეა მაგი. ძალიან უხეში რეაქცია ჰქონდა. კი იტყოდა კაცი მაგენზეც ერთიორ შესაფერის სიტყვას, მაგრამ იმ დონის ფიგურა არაა, თავის გაყადრება რომ ღირდეს. ძალიან უხეში კომენტარი ჰქონდა, მაგრამ გულიც კი არ მომსვლია.

ძალიან მიყვარს ბრძენი ხალხის გამონათქვამების გახსენება. ძალიან ხშირად ვიმეორებ ბერნარდ შოუს სიტყვებს. ამ კარგ და ჭკვიან კაცს ასეთი რამე აქვს ნათქვამი – ისტორიის გაკვეთილები ისაა, რომ ადამიანები ვერ სწავლობენ ისტორიის გაკვეთილებს.

ხელისუფლების წარმომადგენლებს ბერნარდ შოუ გაგონილი არა აქვთ და მე მაინც ხომ მიცნობენ, სულ თვალში ვეჩხირები. თქვენი გაზეთით მოვუწოდებ, გადახედეთ წარსულს. მხედველობაში ახლო წარსული მაქვს. თან იმასაც არ ვთხოვ, რომ საფრანგეთის და ინგლისის ისტორიის კითხვით იჭყლიტონ ტვინი. არც წინა საუკუნეებში ვუშვებ, ამდენს ვერ გაწვდებიან, მაგრამ ის მაინც ხომ უნდა ახსოვდეთ, რა მოხდა რამდენიმე წლის წინ.

როცა ხელისუფლებას კრიზისი უდგება და ამ კრიზისს არ აღიარებს, მერე ძალიან ცუდად მიდის მათი საქმე. ეგი მაინც არ იციან? ამის მეტი კი არაფერი ხდებოდა ბოლო წლებში საქართველოში. ვინ არიან, გედევირიე პირდაპირ – ლამის ერთი კვირის წინანდელი მოვლენები არ ახსოვთ.

გაანალიზების უნარიც დაკარგული აქვთ. რა უბრძავებს ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებს თვალებს, არ ვიცი. ამგენსაც დეეფსოთ თვალები, მაგრამ მალე აეხილებათ. ქვეყნისთვისაა ცუდი, რაც მოხდება, თორემ ამათ კინწისკვრით გამოყრის ხალხი.

– დარწმუნებული ხართ, რომ ხალხი ამათ გამოყრის?

– რა ფორმით მოხდება ეს, ეგი არ ვიცი, მაგრამ მათი გამოყრა გარდაუვალია. პირადად მე რევოლუციის წინააღმდეგი ვარ, მინდა, რომ ევოლუციურად განვვითარდეთ, მაგრამ „ოცნება“ არ გვაძლევს ამის საშუალებას. ამგენს ისე მიყავს საქმე, რომ ან აქციებს მიიღებენ, ან რევოლუციას.

– ზემოთ ქუთაისი ახსენეთ და ამ ქალაქში მდებარე პარლამენტის შენობის გარშემო უამრავი ქვეწარმავალი გამოჩნდა. ამაშიც თქვენი ხელი ხომ არ ურევია? სადაც მახათები გაგზავნეთ საკრებულოებში, იქ პარლამენტთან ქვეწარმავლებს რატომ ვერ მირეკავდით.

– მეც გევიგე, რომ პარლამენტის შენობასთან ბევრი გველი გამოჩენილა, მაგრამ ამ საქმეში სუფთა ვარ. ისე მეშინია ქვეწარმავლების, რომ ვხედავ, კილომეტრში გავრბივარ. პარლამენტის შენობასთან ქვეწარმავლების სიმრავლე თავად დეპუტატების დამსახურება უნდა იყოს.

– იმათ მიიყვანეს?

– რაფერც გამიგონია, გველებს კარგად განვითარებული ინტუიცია აქვთ. ეტყობა, იგრძნეს, პარლამენტში მათი სულიერი მეგობრები რომ იყვნენ და მიაკითხეს.

– დეპუტატები ვახსენეთ და მათთვისაც ხომ არ გაქვთ რაიმე სიურპრიზი?

– მაგენს საჩუქრის გარეშე რაფერ დავტოვებ. უკვე დაგეგმილიც მაქვს პატარა ამბავი.

– რას აპირებთ?

– კაი ამბავი იქნება. დეტალებს არ გავახმაურებ, სიურპრიზი აღარ გამოვა.

– ის მაინც გვითხარით, როდისთვის აპირებთ სიურპრიზის მოწყობას?

– რაფერც მთავრობის დამტკიცებას დეიწყებენ, ერთი კაი სიურპრიზი ჩემზე იქნება.

– საკრებულოებმა ბევრი უცნაური და სკანდალური გადაწყვეტილება მიიღეს. ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ შეძლებენ ერის გაკვირვებას?

– ცხოველებს სექსს რომ ოუკრძალავ, ამის მერე ძნელია, ხალხი რამით გააკვირვო. მინდა მჯეროდეს, რომ ამაზე სულელურს არაფერს მეიფიქრებენ. იქედან გამომდინარე, რომ ცოტა ვერ არიან, კიდევ რაღაც სისულელე უნდა მეიფიქრონ. ამგენისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

– ხელისუფლებაზე ამბობთ, ცოტა ვერ არიანო და ეგება საზოგადოებაც ცოტა ვერ არის, ესენი ხომ ჩვენი არჩეულები არიან.

– მე ნამდვილად არ ამირჩევია, მაგრამ ხალხის ნაწილმა მართლაც მისცა ამგენს ხმა. ეს იმას ნიშნავს, რომ პატარაზე ხალხიც ვერაა, მაგრამ ყველას აეხილება თვალები და დაგროვილი წყენა ისე იხუვლებს, გოდოუვლის ყველას და ყველაფერს.

წესით კი აღარაფერი უნდა გამიკვირდეს ამგენისგან, მაგრამ მაინც წეიჩერჩეტებენ რაღაცას, სხვანაირად უბრალოდ არ შეუძლიათ და ის ჩერჩეტობა იქნება, რომ პოლიტიკურ სამარეში გოუშვებს ამათ.

– ამბობთ, წაჩერჩეტების გარეშე არ შეუძლიათო და ერთი ჭკვიანი მრჩეველი მაინც არავინ ჰყავთ, რომ ნორმალური ურჩიოს რამე? ამდენ შეცდომას რომ უშვებენ, საკუთარი თავის მტრები ხომ არ არიან?

– საკუთარი თავის მტრები რატომ არიან? ეგენი პირველ რიგში ქვეყანას მტრობენ, საკუთარი ცხოვრება კი აქვთ აწყობილი.

ჭკვიანი კაცის რჩევა რომ მიიღონ, ჯერ ეს ჭკვიანი კაცი უნდა იშოვონ. ხელისუფლება კი ამას ვერ გააკეთებს. ამგენი აგონიაში არიან უკვე და სად გინახიათ, აგონიაში მყოფი კაცი საღ გადაწყვეტილებებს ღებულობდეს.

თემირლან მაჩალიკაშვილი და ახმედ ჩატაევი ნათესავები იყვნენ

სად აპირებდა თავის აფეთქებას თბილისში თემირლან მაჩალიკაშვილი

2017 წლის 21-22 ნოემბერს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჩატარდა. შედეგად, დააკავეს ერთი ადამიანი – შუაიფ ბორზიევი, ხოლო წინააღმდეგობის გაწევისას დაიღუპა სამი ადამიანი, მათ შორის ერთ-ერთი ახმედ ჩატაევი.

ამ სპეცოპერაციიდან თითქმის 1 თვეში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მეორე სპეცოპერაცია ამჯერად პანკისის ხეობაში ჩაატარა, რომლის დროსაც 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი დაიჭრა, რამდენიმე პირი კი დააკავეს. თემირლან მაჩალიკაშვილი საავადმყოფოში 10 იანვარს გარდაიცვალა.

ამ ორი მნიშვნელოვანი სპეცოპერაციის შემდეგ გაჩნდა ლოგიკური კითხვა:

ვინ იყო თემირლან მაჩალიკაშვილი და რა აკავშირებდა ახმედ ჩატაევთან?

საგამოძიებო მასალების მიხედვით, ახმედ ჩატაევს და თემირლან მაჩალიკაშვილს ნათესაური კავშირები ჰქონდათ.

„იმედის კვირის“ ინფორმაციით, ჩატაევის მეორე ცოლი, აინა მარგოშვილი და თემირლან მაჩალიკაშვილი ბიძაშვილიშვილები არიან. აინას და თემირლანის დედების – მედიკო და სერო მარგოშვილების მამები კი ძმები იყვნენ.

ამას ადასტურებს პანკისში მცხოვრები მოსახლეობაც. მათი თქმით, წარმოუდგენელია, ბიძაშვილები ერთმანეთს არ იცნობდნენ.

„იმედის“ ჟურნალისტის კითხვას არ გაურბის თემირლან მაჩალიკაშვილის დედაც:

– მე ვიცნობ აინას დედას, ჩემი ნათესავია, მაგრამ აინას ოჯახი ნანახი არ მყავს. კავშირი ჩვენ უნდა გვქონოდა მათთან და არა ჩემს შვილს.

გამოძიებით დადგინდა, რომ როდესაც ახმედ ჩატაევმა არალეგალურად გადმოკვეთა თურქეთ-საქართველოს საზღვარი, სოფელ კირნათიდან ერთ-ერთი, რომელსაც დაურეკა, თემირლან მაჩალიკაშვილი იყო.

დადგენილია, რომ მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც 20-ით მთავრდება, ჩატაევს ეკუთვნოდა, ხოლო რომელიც 29-ით მთავრდება, საქმის მასალების მიხედვით, გარდაცვლილ მაჩალიკაშვილზე ოფიციალურად იყო გაფორმებული.

ამ ფაქტს ადასტურებს დაკითხვისას გორნაკაშვილიც. მაჩალიკაშვილების ადვოკატი, მარიამ კუბლაშვილი კი აცხადებს, რომ ჯეოსელის ნომერი, რომელიც 20-ით მთავრდება, არა ჩატაევს, არამედ მასთან ერთად მყოფ ჩეჩენ ბიჭებს ეკუთვნოდა.

ახმედ ჩატაევსა და თემირლან მაჩალიკაშვილის კავშირებზე ახალი დეტალები ცნობილი 25 ივნისს გახდა.

მოპოვებული სატელეფონო ჩანაწერებიდან ირკვევა, თუ ვისთან დარეკა ჩატაევმა სოფელ კირნათიდან, თურქეთის საზღვრის გადმოკვეთისთანავე.

მოგვიანებით გავრცელდა კიდევ ერთი ჩანაწერი, რომელიც ახმედ ჩატაევმა, სავარაუდოდ, ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ ლიდერ აბუ ჯიჰადს, იგივე ისლამ ატაბიევს გაუგზავნა.

„იმედის კვირამ“ მოიპოვა ის მოკლე ტექსტური შეტყობინების ფრაგმენტი, რომელიც აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებმა თემირლან მაჩალიკაშვილის ტელეფონიდან აღადგინეს, აიფონიდან, რომელიც 19 წლის ახალგაზრდას სპეცოპერაციის ღამეს ხელში ეჭირა.

მესიჯევი ვოტსაპ აპლიკაციითაა გაგზავნილი ნომრიდან, რომლის ბოლო სამი ციფრი „800“-ია.

მიმოწერა 2017 წლის 24 დეკემბრით თარიღდება.

„თემირლანი – იცი, რა არის ისტიშაჰადი?

უცნობი – მე რა ვიცი?

თემირლანი – თეთრი მანქანით ვინც ადის, არის ის, ვინც აკეთებს ისტიშაჰადს, ანუ თვითლიკვიდაციას. ვინც აფეთქებით შედის, ის არის ისტიშაჰადის გამკეთებელი. ის შედის, რომ ააფეთქოს ქრისტიანები.

უცნობი – ხოო, გავიგე.

თემირლანი – და მას, ვისაც თავი უნდა აეფეთქებინა, როდესაც მიდიოდა, მან მოიყვანა ბერკეტი მოქმედებაში.

უცნობი – ჰოო...

თემირლანი – და ზუსტად ასე მე უნდა ავიფეთქო თავი.

თემირლანი – ქალაქში, მეტრო სადგურის მოედნის გაჩერების შიგნით.

უცნობი – კარგი რა, საკმარისია.

თემირლანი – თუ ადამიანს აქვს რწმენა, მსგავს საკითხებზე ასე არ იტყვის.

უცნობი – ღმერთმანი, მე შენ არაფერს არ გეტყვი.

თემირლანი – ის, ვინც ჭეშმარიტ გზაზე ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაში შაჰადის თქმით მოკვდება, ის არის ჩემთვის ყველაზე დიდად სანატრელი.

* * *

ვის უმხელდა თემირლან მაჩალიკაშვილი თბილისში, მეტრო სადგურის მოედანზე თავის აფეთქების გეგმას, უცნობია. მისი ტელეფონის ნომერი დაშიფრულია. მიმოწერაში რამდენჯერმეა ნახსენები არაბული სიტყვა „ისტიშაჰადი“.

კავკასიოლოგი ალეკო კვახაძე სიტყვა „ისტიშაჰადის“ მნიშვნელობას განმარტავს და ამბობს, რომ ის არაბული სიტყვაა, მომდინარეობს ფუძიდან „შაჰად“, რაც ნიშნავს დამოწმებას ან თავგანწირვას, შაჰიდად გახდომას. ასევე ხშირად მოიხსენიებენ მოწამეობრივ ოპერაციად, ანუ მათ როგორც მოწამეებს, ისე აღიქვამენ. ეს სიტყვა გამოიყენება როგორც თვითმკვლელის მონაწილეობით ჩატარებული სამხედრო თუ ტერორისტული ოპერაციები.

* * *

თემირლან მაჩალიკაშვილის მამა, მალხაზ მაჩალიკაშვილი, ამბობს, რომ მის შვილს ჩეჩნურად წერა არ შეეძლო და ახმედ ჩატაევი თემირლანთან არ დარეკავდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ზაზა სარალიძემ შვილის მკვლელების დასჯის მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო

ზვიად კუპრავა: „ხორავას ქუჩაზე ფარდული კახა სირაძემ მირზა სუბელიანის დავალებით დაანგრია“

შორენა მარსაგიშვილი



ხორავას ქუჩის სისხლიანი გარჩევა, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გახდეს ხმაურიანი აქციების მიზეზი. გუშინ, 2 ივლისს, ხორავას ქუჩაზე მოკლული დათუნა სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძემ შსს-ს ეზოში პროტესტის ნიშნად შიმშილობის აქცია დაიწყო. შვილმოკლული მამა მკვლელების დაკავებას ითხოვს.

მოგვიანებით მოშიმშილე სარალიძეს მისი მეგობრები შეუერთდნენ. მათ შორის იყო ზვიად კუპრავაც. შსს-ში მისვლამდე კუპრავამ დროებით საპარლამენტო კომისიას მისცა ჩვენება.

ზაზა სარალიძემ შიმშილობის დაწყება კრიმინალური პოლიციის შეფთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილებისკენ მას დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომამაც უბიძგა.

– კომისიის სხდომას ვუყურებდი, შევხედე, რომ კომისიის წევრები წინააღმდეგები არიან რეკომენდაციაზე კალანდიასთან დაკავშირებით. წამოვედი შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაინტერესებდა, ესენი რას ფიქრობდნენ.

იმავე აზრზე არიან ესენი, არ უნდათ ჩემი შვილის მკვლელების დაჭერა და არავის პასუხისმგებლობის დაყენება. ერთი თვეა უკვე გასული, რაც განაჩენი გამოვიდა და რაც შსს-მ ვითომ დაიბრუნა გამოძიებაში და არაფერიც არ გაუკეთებია ჯერ. კიდევ ამბობენ, რომ დრო უნდა, დრო უნდა, რისი დრო, რა დრო, 7 თვეა უკვე გასული. აქ ვიქნები, სანამ არ გამოატარებენ ჩემი შვილის მკვლელს. საგამოძიებო კომისიის ყველა წევრის განცხადება არ მომისმენია. სიმართლე გითხრათ, იმდენად განვიცდი, პირდაპირ აქ წამოვედი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სარალიძემ.

სარალიძის თქმითვე, პარლამენტის საგამოძიებო კომისია არ არის უფლებამოსილი, ვინმე დააკავოს.

– უფლებამოსილი არის შსს, თუმცა უწყება არავის არ აკავებს, – ამბობს შვილმოკლული მამა.

რაც შეეხება დროებით საპარლამენტო კომისიას, აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, კუპრავას გამოკითხვა ხმაურიანად წარიმართა. მეოცნებე დეპუტატებს კუპრავამ რამდენჯერმე მოუშალა ნერვები.

მას შემდეგ, რაც კუპრავა რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციების ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა, მეოცნებეებმა მას წარსული ამოუქექეს და ამტკიცებდნენ, რომ ის ზონდერი იყო. სოციალურ ქსელში ვიდეოც გაავრცელეს, რომლითაც ამტკიცებდნენ, რომ ის 26 მაისის დარბევაში მონაწილეობდა.

კუპრავას ზონდერობაზე განსაკუთრებით სალომე ზურაბიშვილი და ანრი ოხანაშვილი აპელირებდნენ. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი დაინტერესდა, რა გაირკვა მის წარსულთან დაკავშირებით.

– ამ კომისიის შემადგენლობაში არიან ბატონი ანრი ოხანაშვილი და ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, რომლებიც აქტიურად იკვლევდნენ ჩემს წარსულს, მინდა ვკითხო მათ, რამე გაარკვიეთ ჩემი წარსულის შესახებ, ჩემს ზონდერობასთან დაკავშირებით? თქვენ არ ხართ გომელაურის ბოტები და ფეიქები, თქვენ ხართ მაღალი თანამდებობის პირები, თქვენ გეკისრებათ სხვა დამოკიდებულება და თქვენი ყოველი სიტყვა უნდა იყოს დასაბუთებული, – დამოძღვრა კანონმდებლები ყოფილმა სამართალდამცავმა.

მან ნერვები ეკა ბესელიასაც დააწიწკნა. მათი შეკამათების მიზეზი ხორავას ქუჩაზე დაჭრილი მოზარდი გახდა. საუბარია სასულიერო პირის შვილ გ.მ-ზე. კუპრავამ ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მღვდლის შვილს ექსპერტიზა მოგვიანებით ჩაუტარდა.

ბესელიამ ეს არგუმენტი არ მიიღო და აღნიშნა, რომ ექსპერტმა ჭრილობა დაათვალიერა.

– ამ პერიოდში კვალი უკვე წაშლილი იყო. ნაკერები გაეხსნათ, ქალბატონო ეკა?! ორჯერ-ორზე მეუბნებით, რომ 41-ია? – ჩაეძია კუპრავა ბესელიას.

– ორჯერ ორი არც 5-ია, – უპასუხა ამაზე ბესელიამ.

* * *

ხორავას ქუჩის საქმეში ბევრი სკანდალური დეტალია. ერთ-ერთი მათგანი ფარდულის თემაა. ფარდული, სადაც მოზარდების მკვლელობა მოხდა, ძალიან მალე, საეჭვოდ დაანგრიეს. თან ისე დაანგრიეს, რომ იქ საგამოძიებო მოქმედებები ფაქტიურად არ ჩატარებულა.

ზვიად კუპრავა ამტკიცებს, რომ ფარდულის დანგრევაში მირზა სუბელიანის ხელი ურევია. მისი ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივ-გამომძიებელი კახა სირაძე ვალში იყო პროკურატურის თანამშრომელ მირზა სუბელიანთან, რის გამოც დაუშვა ფარდულის განადგურება.

– ადამიანი, რომელსაც ვალდებულება ჰქონდა, ფარდული ყოფილიყო დაცული, არის კახა სირაძე, მკვლელობების განყოფილების უფროსი და მის განყოფილებას უნდა ეწარმოებინა ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ფარდული ყოფილიყო დაცული.

რატომ მიუდგა სირაძე გულგრილად? ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კახა სირაძე, როდესაც მერაბიშვილი დაიჭირეს, თანამშრომლებთან და უახლოეს მეგობრებთან ერთად დაიბარეს გენერალურ ინსპექციაში, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ეს პირები იყვნენ ვანო მერაბიშვილის გარემოცვა და მოსთხოვეს მათ პატაკების დაწერა და სამსახურიდან წასვლა.

მათ დაწერეს პატაკები სამსახურიდან წასვლაზე, თუმცა თარიღი გენინსპექციის მოთხოვნით არ იყო დასმული, რის შემდეგაც კახა სირაძემ დაურეკა მის უახლოეს მეგობარ მირზა სუბელიანს და სთხოვა შუამდგომლობა, რათა მათ დახმარებოდნენ. კახა სირაძემ სთხოვა, რომ შუამდგომლობა გაეწია, რათა ეს ადამიანები სამსახურიდან არ წასულიყვნენ. თავის მხრივ, სუბელიანმა გაუწია შუამდგომლობა და მათი ნაწილი დატოვეს შსს-ის ორგანოებში, მათ შორის კახა სირაძე. ეს იყო მირზა სუბელიანის დამსახურება. მას შემდეგ, რაც მოხდა ხორავას ქუჩაზე სისხლიანი ტრაგედია, სუბელიანი დაუკავშირდა კახა სირაძეს, რომელიც ვალში იყო მასთან და უთხრა, რომ ფარდულისთვის მიექცია ყურადღება, – აღნიშნა სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა.

მან კომისიას მიმართა, რომ მის მიერ მოყვანილი ფაქტის დასადასტურებლად ამოღებული იყოს სუბელიანისა და სირაძის სატელეფონო საუბრების სიხშირე 1-2 დეკემბერს.

– ესეც იქნება ირიბი მტკიცებულება. ამის შემდეგ კახა სირაძემ გააკეთა ის, რომ მოიქცა გულგრილად, არ მოხდა დაცვა მტკიცებულების და ამ მტკიცებულების, მკვლელობის ადგილის დანგრევა მოხდა, – განაცხადა კუპრავამ.

კანონმდებლებს მან ის სკოლებიც დაუსახელა, რომელთა მოსწავლეებიც სისხლიან გარჩევაში მონაწილეობდნენ. კუპრავას თქმით, ინციდენტში პირველი და 51-ე სკოლის მოსწავლეების გარდა, 21-ე სკოლის ბავშვებიც იყვნენ ჩართული.

ამბობს, რომ ეს ინფორმაცია არასრულწლოვნებისგან მიიღო, თუმცა 21-ე სკოლის მოსწავლეების სახელები და გვარები თავად დაადგინა.

– ერთ დღეს ზაზა სარალიძემ მთხოვა, რომ აღნიშნულ ინციდენტში მონაწილე ბავშვები მასთან აპირებდნენ მისვლას და მთხოვა, ამ შეხვედრას დავსწრებოდი. ამ შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, მივედი. მოვიდა 2 არასრულწლოვანი. საუბარი იყო ვრცელი და ეს საუბარი მნიშვნელოვან დეტალებს მოიცავდა.

შინაარსი ამ საუბრის იცით, მაგრამ აღნიშნულ შეხვედრაზე ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ ინციდენტში მონაწილეობდნენ კიდევ ერთი სკოლის ბავშვები და ეს სკოლა იყო ყოფილი მეექვსე, ახლანდელი 21-ე. მე არ ვამბობ, რომ დანაშაული ჩაიდინა ვინმემ, უბრალოდ მე ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, რომ არ მომხდარა ამ ადამიანების დაკითხვა. თავად ამ ბავშვებს 21-ე სკოლის ბავშვების გვარები არ დაუსახელებიათ და თავად დავადგინე მათი სახელები და გვარები.

ეს ინფორმაცია მივაწოდე სკოლის დირექტორს. დირექტორმა დაიბარა ეს ბავშვები და ჰკითხა შეესაბამებოდა თუ არა ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია სიმართლეს. მე როგორც ვიცი, ამ ბავშვებმა დირექტორს მოუყვნენ ამ ფაქტის შესახებ და უთხრეს, რომ ლობიანის საყიდლად მიდიოდნენ, როდესაც მათგან ერთერთს, ი.ჯ.-ს დაურეკეს პირველი ექსპერიმენტული სკოლიდან და სთხოვეს, რომ 51-ე სკოლელებთან ჩხუბი იყო და დახმარებოდნენ. ეს ინფორმაცია თავად სკოლის დირექტორისგან ვიცი. ი.ჯ. და კიდევ ერთი მივიდნენ იქ და იქ რა ქმედება განახორციელეს, ამის შესახებ მე ვერ ვისაუბრებ, – ამბობს ყოფილი სამართალდამცველი.

დეპუტატებს ის იმ გარემოებებზეც ესაუბრა, რამაც მას და მოკლული დავით სარალიძის მამას ეჭვები გაუჩინა.

ეჭვები შემდეგმა გარემოებებმა გააჩინა:

– ჩვენ ვხედავდით, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დეპუტატის შვილი მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში და მისი გვარი მოხსენიებული იყო „და სხვებში“. გაგვიჩნდა ლოგიკურად ეჭვი, რომ აქ „და სხვებში“ მალავდნენ ვიღაც ადამიანებს.

ჩვენში პირველი კითხვის ნიშნები სწორედ ამან დაბადა, რადგანაც, თავდაპირველად ზაზა სარალიძე გამოძიებას ენდობოდა.

კუპრავას ისიც საეჭვოდ ეჩვენება, რომ მირზა სუბელიანი თავისი შვილის დაკითხვის პროცესში „თავზე ადგა გამომძიებელს“.

– თუნდაც ის ფაქტი, რომ დეპუტატის შვილი მონაწილეობდა და საქმის მასალებში არ ფიგურირებდა, თუნდაც ის, რომ მირზა სუბელიანი მუშაობდა პროკურატურაში და როდესაც მისი შვილი იკითხებოდა, მას ახლდა თან.

მართალია, ის, როგორც მშობელი, ახლდა თან, თუმცა, ამავდროულად, თავზე ადგა გამომძიებელს, რომელიც კითხვებს უსვამდა მის შვილს. ამ დროს გამომძიებელი ვერ დასვამს კრიტიკულ კითხვებს. მირზა იყო დაინტერესებული პირი. სწორედ ჩვენი იმდროინდელი შეფასებით, მირზა იყო მონიტორინგის სამსახურის შემსრულებელი, რათა მის შვილთან კრიტიკული კითხვა არ დასმულიყო, – განაცხადა კუპრავამ.

* * *

საგამოძიებო კომისიისთვის ჩვენების მიცემის შემდეგ, ზვიად კუპრავა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა და იმ ინციდენტზე მიაწოდა ინფორმაცია, რაც 11 ივნისს საქალაქო სასამართლოს სასადილოში მოხდა.

– მივაწოდე ყველა ინფორმაცია დიპლომატებს, იმ დევნასთან დაკავშირებით. მოვყევი სხვადასხვა დროს, მათ შორის ის, რომ ჩემზე მოხდა თავდასხმა, ასე ვთქვათ, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პირის მეშვეობით, მათ შორის სხვა ადმინისტრაციული დაკავების, ასევე აქციაზე მომხდარი ჩემი დაკავება, – ამბობს კუპრავა.

საპარლამენტო საქმეებს როცა მორჩა, შსსში წავიდა, სადაც თავის მეგობარ ზაზა სარალიძეს შეუერთდა.

მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საზოგადოება კარგად ხედავს, ვინ მონაწილეობდა ხორავას ქუჩის სისხლიან გარჩევაში და დაინახა ისიც, თუ ვინ მფარველობს მკვლელებს.

კუპრავა აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სამართალდამცავები ამაზე არ რეაგირებენ.

– ეს საზოგადოების და შვილმოკლული მამის დაცინვაა. სანამ ზაზა იჯდება აქ, მეც ვიჯდები და ზაზას მეგობრებიც ისხდებიან აქ. ძალიან ცუდია, რომ ასე იქცევიან და ამ ადამიანს იძულებულს ხდიან, რომ ხან შსს-ს და ხან პროკურატურის ღობესთან ჩამოჯდეს. ყველამ ნახა, რომ ჩვენ მართლები ვიყავით და ჩვენი მოთხოვნები იყო სწორი. მიუხედავად ამისა, მაინც იქცევიან დესტრუქციულად და პასუხისგებაში არ აძლევენ დამნაშავე პირებს, – განაცხადა ზვიად კუპრავამ.

აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათში შსსს თანამშრომლებმა დაუპატიჟებელი სტუმრები წყლით გალუმპეს. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა შს მინისტრს მომხდარზე სათანადო რეაგირება მოსთხოვა.

– სადაც ზაზა სარალიძე ზის, შსს-ს უღირსმა და ღეშმა თანამშრომელმა მოულოდნელად და, დიდი ალბათობით, სპეციალურად მოუშვა გაზონების სარწყავი წყლის სისტემა და ზაზა ბოლომდესრულად გალუმპეს და დაასველეს. ამავე დროს ფანჯრიდან იცქირებოდა ვიღაც თანამშრომელი და ამ საქციელით ხითხითებდა და „კაიფობდა“.

მოვუწოდებ შს მინისტრს, ბატონო გახარია, ამ სისტემაში ისევ შემოგრჩათ ის ადამიანები, ვინც ერთ დროს ამავე სისტემის აივნიდან ჩიტაძის ქუჩაზე აქციის მონაწილეებს წყლით გაბერილ ბუშტებს ესროდა და მერე ასე დასცინოდა გალუმპულ ადამიანებს. მოგიწოდებთ, ახლავე მოუხადოს ბოდიში ზაზა სარალიძეს თქვენმა გაზონების „მრწყველმა“. წყალი კი არა, სისხლში და უსამართლობაშია სრულიად საქართველო გალუმპული და წყლით გალუმპვა რა გასაკვირია, – აღნიშნულია მიმართვაში.

შსს-ში კი განმარტავენ, რომ ეს მათი ჩადენილი არ არის. მათი მტკიცებით, 19.22 საათზე გაზონის სარწყავი წყალი ავტომატურად ირთვება.

თემირლან მაჩალიკაშვილი და ახმედ ჩატაევი ნათესავები იყვნენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– რატომ ენდობოდა ჩატაევი ვიღაც ბავშვს? – კითხულობს მალხაზ მაჩალიკაშვილი.

ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს სჯერა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილმა შეიძლება არ იცოდა, ვისთან ჰქონდა კავშირი მის შვილს, მაგრამ უტყუარ ფაქტად მიაჩნია, რომ კონკრეტული პიროვნებები თემირლან მაჩალიკაშვილს ენდობოდნენ და მას დავალებების შემსრულებლადაც მიიჩნევდნენ:

– რატომ არ დაურეკეს მალხაზს? ის ასაკითაც, გავლენითაც და გვარის წარმომადგენლობითაც უფრო წონიანია, ვიდრე თემირლანი. ჩემთვის უტყუარია, რომ თემირლანმა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ეს კაცი გარკვეულ ნდობას იწვევდა მავანთან. დარწმუნებული ვარ, რომ თემირლან მაჩალიკაშვილმა იცოდა ჩატაევის აქ ყოფნის ამბავი და ისიც, რომ იმ სახლში ჩატაევი ცხოვრობდა.

ჩატაევის დაჯგუფების ორი წევრი სამი თვის მანძილზე მაჩალიკაშვილთან ერთად ცხოვრობდა ვარკეთილში და მათ ბინა სპეცოპერაციამდე ერთი თვით ადრე დატოვეს. ამ ფაქტს ადასტურებს ბინის მეპატრონეც.

მაჩალიკაშვილის ტელეფონში აღდგენილი ფოტოები ჩატაევის დაჯგუფების წევრებთან ერთ ბინაში ცხოვრების ფაქტებს ადასტურებს. ერთ-ერთი მათგანი, ჩატაევის მეგობარი ბორზიევი ისლამური დროშის ფონზეა გადაღებული.

ცნობისათვის, ახმედ ჩატაევი და ისლამ ატაბიევი რუსეთის იმ 6 მოქალაქეს შორის არიან, რომლებიც 2015 წელს ევროკავშირმა „ალ-ქაიდას“ ტერორისტების სიაში შეიყვანა.

„ჯორჯია კაპიტალი“ ევექსში საკუთარ ნილს ყიდის

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლი თანამედროვე სამედიცინო ინფრასტრუქტურის შექმნაზე, ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვასა და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებაზე დაიხარჯებოდა.

„კომერსანტს“ „ევექსის“ პრესსამსახურში განუცხადეს, რომ 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის მოზიდვის შემდეგ, განავითარეს 8 რეგიონული ჰოსპიტალი, აშენდა „მეგალაპი“ – სადაც ყველა ტიპის ლაბორატორიული სერვისია ხელმისაწვდომი. აშენდა ივანე ბუკიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი. ასევე რეგიონებში ჰოსპიტალებში დაინერგა „კარტ ლაბები“, სადაც ხდება გულის უკმარისობის კონტროლი და სტენდირება. ეს საკმაოდ მცირე სიაა იმისთვის, რომ 100 მლნ აშშ დოლარის კაპიტალდაბანდება განხორციელდეს. „ევექსის“ პრესსამსახურში განგვიცხადეს ისიც, რომ დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდიან.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ევექსის კლინიკები, როგორც ინფრასტრუქტურულად, ტექნოლოგიურად და სამედიცინო მომსახურების ხარისხით, სისტემატურად ხდება მოსახლეობაში უკმაყოფილების მიზეზი. თავის დროზე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომაც განაცხადა, რომ ევექსში ყველაფერი რიგზე არ არის.

კომერსანტი

„მამუკა ბახტაძე ბანკებს ვერ მოერევა“

დემურ გიორხელიძე: „მარტო მთავრობის შემცირება არაფერს მოგვცემს, ის ეფექტურიც უნდა გახდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **დემურ გიორხელიძე** პასუხობს.

– ბატონო დემურ, მალე ახალი, მცირე მთავრობა გვეყოლება. უმრავლესობის მხრიდან გვესმის შეფასებები, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ეს გამართლებულია, რომ დიდ დანაზოგებს მოგვცემს, რისიც ნაკლებად სჯერა საზოგადოებას. რამდენად სწორი ხედვები აქვს ხელისუფლებას?

– როგორც მე მივხვდი იმ ზედაპირული საუბრებიდან, საუბარია იდეოლოგიურ შტამპზე, რომელიც უკვე ყავლგასული ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინიდან მომდინარეობს, რომ ბაზარი თვითონ არეგულირებს ყველაფერს და ამიტომ მთავრობა არ უნდა ჩაერიოს არაფერში და ასე შემდეგ.

– ეს ხედვა არასწორია?

– მეცნიერებაში პატარა და დიდი მთავრობები არის პირობითი, იმიტომ, რომ კრიტერიუმი არის არა პატარა და დიდ მთავრობა, არამედ ეფექტური ხელისუფლება, რომელიც წყვეტს პრობლემებს ქვეყანაში და ამ ეფექტური ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად მიიღწევა ეფექტური ეკონომიკა.

თუ ვინმე მეტყვის, რომ დღეს საქართველოს ეკონომიკას რაიმე გონიერების ნასახი უდევს საფუძვლად და ამდენად შეიძლება იგი მიშვებულ იქნას თავის ნებაზე, რომ თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს და თვითონ იქნება განვითარება, ეს არის იმდენად ცუდი აზრი, რომ სასაუბროდაც კი არ ღირს.

– ანუ თქვენ არ გჯერათ მცირე მთავრობის სიკეთეების?

– მე კარგად ვერ გავიგე, ამ პატარაობის მთავარი ნიშანი რა არის! ქვეყანა არის მოუწესრიგებელ მდგომარეობაში! არ არსებობს საბაზრო ინსტიტუტები, რომელთაც თვითრეგულაციის მექანიზმები გააჩნიათ.

დღეს საქართველოს სჭირდება ეფექტური მთავრობა, რომელმაც იცის, რა გადაწყვიტოს, სად უნდა გადადგას ნაბიჯი, რომ განავითაროს კერძო ინიციატივა. მისცეს კერძო ინიციატივას ის ინფრასტრუქტურა, მთლიანობაში სამართლებრივი, ფინანსური, ეკონომიკური და ასე შემდეგ, სადაც მართლაც განვითარდება კერძო ინიციატივა.

დღეს ქვეყანაში ჩამკვდარია მცირე და საშუალო ბიზნესი, რაღაც ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი მონოპოლისტური და ოლიგოპოლისტური ჯგუფები თარეშობენ ქვეყანაში. არანორმალური კარტელური გარიგებებია ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ახლა მთავრობა რას იზამს? საერთოდ არაფერში არ ჩაერევა?! ასე წინასწარ წააგებს მთავრობა! მე არ მინდა წაგებული ხელისუფლება, იმიტომ, რომ უკვე 30 წელია, ჩვენი ხელისუფლებები წაგებულია!

– ამ ცვლილებებით ვერ იქნება მთავრობა ეფექტური? არ გაქვთ ამის მოლოდინი?

– მე არ ვიცი ჯერ არაფერი, როდესაც ეს პრემიერ-მინისტრი ჩამოაყალიბებს სწორ შეხედულებათა სისტემას და ამას ექნება სისტემური ხასიათი, მაშინ შეიძლება შეფასების გაკეთება. ჯერჯერობით დაიწყო იდეოლოგიური შტამპით, რომელიც აბსოლუტურად არ შეესაბამება რეალურ მდგომარეობას.

– ანუ მთავრობა მცირე იქნება თუ დიდი, ეს სიტუაციას ვერ შეცვლის?

– ამერიკაში არ არის პატარა მთავრობა, დიდი მთავრობაა, ვიცით, თუ რა მდგომარეობაშია ამერიკის ეკონომიკა. სულ ახლახან გახლდით, ორი დღეა, რაც ჩამოვედი. ფაქტობრივად, ბუნებრივი უმუშევრობის დონეზეა სიტუაცია, ვისაც უნდა მუშაობა, ყველა მუშაობს, არის შტატები, სადაც იდეალური სიტუაციებია.

სწორი გადაწყვეტილებები და სწორი შეხედულებათა სისტემა გვჭირდება. სამინისტროების შერწყმა არაფერს ნიშნავს. რა თქმა უნდა, პატარა ფული დაიზოგება, მაგრამ რაც დაიზოგება თანამშრომლებში, დაიხარჯება მივლინებებში, პრემიებში და ასე შემდეგ.

– ახალი პრემიერი აცხადებს, ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში არაჩვეულებრივია, რომ გვაქვს ზრდა, წინსვლა და ასე შემდეგ.

– მთავრობის ფუნქცია ყოველთვის ეს არის, რომ დახატოს სურათი, ვითომ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოდის. მე არ ვფიქრობ, რომ ქართულ ეკონომიკაში რაღაც განსაკუთრებული თვითდამშვიდების საფუძველი აქვს პრემიერს ან სხვა რომელიმე ხელისუფალს. არ არის ასე! მიგრაცია დიდია, სამუშაო ადგილები ვერ იქმნება, ქვეყანაში ისეთი პოლიტიკაა საჭირო, სადაც ასიათასობით სამუშაო ადგილი უნდა შეიქმნას. ბაზარი თვითონ არეგულირებს ყველაფერსო, ეს პოლიტიკა ვერაფერს ვერ შექმნის.

– არ უნდა შემცირდეს მთავრობა?

– სახელისუფლო ორგანოები რომ შესამცირებელია, ამაში ორი აზრი არ არსებობს, იმიტომ, რომ ამ ნეპოტიზმმა, ამ თავიანთი საყვარლების და ნაცნობების სამსახურებში მიყვანამ გადატენა ეს სამინისტროები და გასაგებია, რომ ერთი მხრივ მათი შემცირება კარგი საქმე იქნება, თუმცა ეს საქმეს ვერ უშველის.

– ტურიზმი ყვავის ქვეყანაში და ესეც ხელს უწყობს ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღებასო, ვისმენთ შეფასებებს.

– ტურიზმი კარგია, ეს ერთი სექტორია, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის განვითარება არ არის ტურიზმზე დამოკიდებული! ვისაც მიაჩნია, რომ ბევრი ტურისტი თუ მოვა, ქვეყანა განვითარდება და ქვეყანაში რაიმე სასიკეთო ძვრები იქნება, ის კიდევ უფრო დილეტანტია და მას საერთოდ წარმოდგენა არ აქვს, რა ფაქტორები განავითარებს ეკონომიკას. ტურიზმი ფაქტორი არ გახლავთ!

– ახალი პრემიერი საკმაოდ მკვეთრი და მკაცრი განცხადებებით გამოირჩევა ბანკების პოლიტიკის მიმართ. რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად შეუკვეცს მათ ფრთებს?

– ბატონი ბახტაძის განცხადება ბანკებთან დაკავშირებით აბსოლუტურად მხარდასაჭერია, მაგრამ მან განვითარება არ მისცა ამ საქმეს. განაცხადა და შემდეგ უკუსვლა გააკეთა. სანამ ეს მახინჯი საბანკო სისტემა საქართველოში იქნება, 15 ბახტაძე რომ ერთად დანიშნონ ყველა სამინისტროში, არაფერი არ გამოვა აქედან! ამიტომ, არც პრემიერს არ გამოუვა არაფერი!

– ანუ თქვენ არ გაქვთ დადებითი მოლოდინები?

– მე ჯერჯერობით არ მსმენია, არ წამიკითხავს შეხედულებათა ის სისტემა, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან. მე არ მაინტერესებს პიროვნებების განცხადებები, მე მჭირდება პროფესიული შეხედულებათა სისტემა, დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის და საერთოდ ქვეყნის განვითარების შესახებ. ტურიზმზე ლაპარაკი და იმაზე, რომ ჩვენ შესანიშნავად ვვითარდებით, რომ სამინისტროები შემცირდება და ასე შემდეგ, ეს არავის არაფერში არ წაადგება, თუ არ იქნება რეალური საქმე!

„სოციალურ მიმართულებებზე აქცენტი შეცდომაა, რადგან საქართველო არ არის მხოლოდ პენსიონერების და ავადმყოფების ქვეყანა“

„მამუკა ბახტაძე უნდა იყოს მკვეთრად გამოხატული ლიდერი და მან უნდა შექმნას ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია“

სამთავრობო გუნდში მიმდინარე ცვლილებებზე, ახალი პრემიერ-მინისტრის პრიორიტეტებზე, სიღარიბის დაძლევის გზებზე, ბიზნესში არსებულ პრობლემებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ ბიზნესმენ **თემურ ჭყონიას** ესაუბრა.

– როგორ შეაფასებდით ახალ პრემიერ მამუკა ბახტაძეს? რა მთავარი გამოწვევების წინაშე იქნება იგი და რა უნდა იყოს მისი პრიორიტეტი პრემიერობის პერიოდში?

– ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს მკვეთრად გამოხატული ლიდერი. გუნდი და გუნდის სიძლიერე, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, თუმცა პირველ რიგში თავად ბახტაძე უნდა იყოს ლიდერის თვისებების მატარებელი. გუნდის მაღალკვალიფიციურობა სახელმწიფოს მართვაში და სტრუქტურების ჩამოყალიბებაშია მნიშვნელოვანი. ბახტაძემ უნდა მიიღოს მკაცრი და ხანდახან არაპოპულარული გადაწყვეტილებებიც. ამავდროულად, უნდა გაითვალისწინოს, რომ მოკლე ვადაში დიდი შედეგების მიღწევას ვერ მოახერხებს, მან აუცილებლად უნდა დასახოს გრძელვადიანი სტრატეგია და მოერგოს მას. მისი დღევანდელი და მომავალი კარიერა დამოკიდებულია მის პრინციპულობაზე და პროფესიონალიზმზე. მან აუცილებლად უნდა მოიპოვოს დამოუკიდებლობა ჭკუით, პრინციპულობით, შრომით და სწორი პროგრამებით და არა ჯიბრით.

– თქვენ ინტერვიუებში მუდმივად საუბრობდით, რომ აუცილებელი იყო ბიუროკრატიის შემცირება მთავრობაში, სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება ახალმა პრემიერმაც და განაცხადა, რომ სამინისტროების რაოდენობას 14-დან 11-მდე შეამცირებს, როგორ შეაფასებდით ამ გადაწყვეტილებას და საჭიროა თუ არა კიდევ უფრო მეტად შემცირდეს ბიუროკრატია ჩვენს ქვეყანაში?

– შევარდნაძის მთავრობის მერე მუდმივად ვსაუბრობთ, რომ მაღალი ბიუროკრატია დამღუპველია როგორც ეკონომიკურად, ასევე მართვის კუთხით. რაც მეტი უფროსია სამსახურში, მით ნაკლებ პასუხისმგებლობას იღებენ თანამშრომლები და დისციპლინაც საკმაოდ დაბალია. აქედან გამომდინარე, არამარტო სამინისტროები უნდა გაუქმდეს, გუბერნატორების სამსახურიც გასაუქმებელია. არ მესმის, რაში სჭირდება ასეთ პატარა ქვეყანას ამდენი გუბერნატორი, მით უმეტეს, არსად ჩანს თუ რა მოვალეობა აქვთ მათ.

რაც შეეხება სამინისტროების გაერთიანებას, ზოგადად ფორმულირება – სამინისტროების გაერთიანება, პირადად მე არასწორი მგონია. ყველა სიტყვას აქვს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ვაუქმებთ არსებულ სამინისტროებს და ვქმნით ახალს, უფრო ეფექტურს და მოქნილს. სტრუქტურა რომელიც არსებობდა, აღარ იარსებებს და შეიქმნება ახალი სამინისტროები.

ამავდროულად, საუბრობენ, რომ შემცირების შედეგად ადამიანების ნაწილი უმუშევარი დარჩება, მე მათ საპასუხოდ ვიტყვი, რომ ის ადამიანი, ვინც ტყუილად დადის სამსახურში და ამაში იღებს ხელფასს, ისედაც უმუშევარია. უბრალოდ, იგი უმუშევრობაში იღებს ფულს. როდესაც ადამიანი სამსახურში მიდის და ფაქტობრივად არაფერს აკეთებს, ის უმუშევარია, აბა რა არის. ასეთი მიდგომით ჩვენ, პირიქით, სიზარმაცესა და უმუშევრობას ვახალისებთ.

თორემ, ძლიერი სპეციალისტები რომ გვყავდეს სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ განთავისუფლების შემთხვევაშიც არ გაუჭირდებოდათ ახალი სამსახურების მოძიება და თუნდაც კერძო სექტორში დასაქმება. დამიჯერეთ, ძალიან ბევრ კომპანიაში სერიოზული დეფიციტია ძლიერი სპეციალისტების და თუკი სახელმწიფო სტრუქტურაში ასეთი ადამიანები არსებობენ, მათ კერძო სექტორი წაიყვანს. ვინაიდან ჩვენ მკაცრ კანონებს არ ვიღებთ და მათ არ ვიცავთ, ამიტომაც ვართ ღარიბები და გვაქვს ქვეყანაში სერიოზული დეფიციტი ძლიერი კადრების. თუ გვინდა, რომ ძლიერი ქვეყანა გვქონდეს, გარკვეულ შემთხვევებში რადიკალური ნაბიჯების გადადგმას არ უნდა მოვერიდოთ.

თუ იმიტომ ვასაქმებთ სახელმწიფო სამსახურებში ადამიანებს, რომ მერე მათ არჩევნებზე ხმა მისცენ ხელისუფალს, ესეც საკმაოდ არასწორი მიდგომაა, ვინაიდან ის შეიძლება მოწინააღმდეგეც კი გახდეს ხელისუფლების, რადგან უმეტესი მათგანი უკმაყოფილოა დაბალი ხელფასებით. სჯობს აქცენტი გავაკეთოთ პროფესიონალ კადრებზე, ვიდრე დასაქმებულ მომავალ ამომრჩევლებზე.

– როგორ შეაფასებდით მამუკა ბახტაძის ინიციატივას ფინანსთა მინისტრის რანგში, როდესაც მან ბანკებისა და საფინანსო სექტორის რეგულირებისთვის ახალი ინიციატივები გააჟღერა?

– ბახტაძის გადაწყვეტილება, როდესაც საბანკო სისტემა გააკრიტიკა სამართლიანად, ნამდვილად დადებითი ფაქტი იყო. მანამდე სულ ამბობდნენ, რომ ბანკები არის სენსიტიური ბიზნესი და მათ არ უნდა შევეხოთ, მაგრამ არასდროს მესმოდა ეს აზრი. გაუგებარია, რატომ არის საბანკო სფერო სენსიტიური და რატომ არ არის ძეხვის წარმოება, ცემენტის წარმოება ან სამედიცინო სფერო სენსიტიური. მათი სწორი გაკრიტიკების შემთხვევაში ბანკები დაიკეტება, შეწყვეტენ ოპერირებას თუ რა მოხდება.

აუცილებელია, რომ ბანკებს მივცეთ სწორი მიმართულება. საბანკო სექტორი არის ჩვეულებრივი ბიზნესი, რომელიც უნდა იყოს ორიენტირებულნი საკუთარი და სხვა ბიზნესების განვითარებაზე.

მე ვფიქრობ, რომ ბახტაძე ამაზე არ გაჩერდება და ველოდები შემდეგ ნაბიჯს, თუ რა ჭკვიანურ სვლას შემოგვთავაზებს საზოგადოებას და ბიზნესს ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების სწორი რეგულირებისთვის.

– ქვეყანაში იცვლებიან პრემიერ-მინისტრები, თუმცა ფაქტია, რომ ვერ ხერხდება არსებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა და მძიმე სოციალური ფონის აღმოფხვრა, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ახალმა მთავრობამ ამ გამოწვევების საპასუხოდ?

– ის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ქვეყანაში არსებობს 2-3 ან თუნდაც 5 წლიან პერიოდში, რომ მოგვარდეს, შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, უნდა არსებობდეს გრძელვადიანი პროგრამა. ამ გრძელვადიან პროგრამაში უნდა იყოს გაწერილი საშემსრულებლო დისციპლინა და ქვეყნის განვითარების სტრატეგია.

ქვეყანაში ყოველი პრემიერი არ უნდა მიდიოდეს საკუთარი პროგრამებით და შემდეგ, მომდევნო პრემიერი მალევე არ უნდა ცვლიდეს ამ პროგრამებს. უნდა არსებობდეს ერთი გრძელვადიანი პროგრამა, რომელსაც დაამუშავებენ გამოცდილი სპეციალისტები. მე მხედველობაში მყავს სპეციალისტები, რომლებიც მსგავს საკითხებზე ხშირად მუშაობენ და არა უბრალოდ ნიჭიერი, მცოდნე ხალხი. ჩვენ ისინი უნდა მოვიწვიოთ უცხოეთიდან ან, შესაძლოა, ასეთი სპეციალისტები საქართველოში გვყავს კიდეც, მაგრამ მე მათ ნამდვილად არ ვიცნობ და თუ არსებობენ, კარგი იქნება თუ გამოჩნდებიან. დღეს ვინც დგას წინა პლანზე, თუნდაც პარლამენტის წევრები, მე ვხედავ, რომ მათ არ იციან არც ამ პროგრამების შედგენა და არც მათი მოსალოდნელი შედეგი.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საგადასახადო და საბაჟო კოდექსების ახალი ვარიანტები მზად შემოდგომაზე იქნება

შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი თაბუაშვილის ინფორმაციით, ახალი საგადასახადო და საბაჟო კოდექსების პირველადი დოკუმენტები მზად შემოდგომაზე იქნება. ამის შესახებ თაბუაშვილმა გადაცემაში „საქმის კურსი“ განაცხადა.

– საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით სამუშაოები უფრო წინაა, მზადაა პროექტის პირველადი ვარიანტი პროექტისა, რომელზეც შიდა განხილვები მიმდინარეობს და მალე გავაცნობთ საზოგადოებას, შემოდგომაზე, ვფიქრობთ, რომ ორივე პროექტი მზად გვექნება, – განაცხადა თაბუაშვილმა.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებები ახალმა პრემიერმა მამუკა ბახტაძემ დააანონსა. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების პროცედურების მიმდინარეობისას მან განაცხადა, რომ არსებული კოდექსი მოძველებულია და ცვლილებებს საჭიროებს.

BM.GE

ეკონომიკური დანაშაულის 50%-ზე მეტი ფულადსაკრედიტო სისტემაზე მოდის

საქართველოში ეკონომიკური დანაშაულის ნახევარზე მეტი ფულადსაკრედიტო სისტემაზე მოდის. სტატისტიკის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2018 წლის იანვარ-მაისში ქვეყანაში სულ დაფიქსირდა ეკონომიკური დანაშაულის 561 შემთხვევა, აქედან 292 შემთხვევა, ანუ 52% ფულადსაკრედიტო სისტემაში მომხდარი დანაშაულია.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, (წყარო შსს) 2018 წლის მაისში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყებაში ეკონომიკური სახის 119 დანაშაული დარეგისტრირდა, საიდანაც მხოლოდ 26 შემთხვევა გაიხსნა, შედეგად გახსნის მაჩვენებელმა მხოლოდ 21% შეადგინა.

სტატისტიკური მონაცემებით, სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ სულ დარეგისტრირდა დანაშაულის 38 ფაქტი, საიდანაც მხოლოდ 8 შემთხვევა გაიხსნა. ფულადსაკრედიტო სისტემაში რეგისტრირებული იქნა 61 დანაშაული, გაიხსნა მხოლოდ 12 ფაქტი, ანუ გახსნის მაჩვენებელმა 19,6% შეადგინა. 13-დან მხოლოდ 4 შემთხვევა გაიხსნა საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულიდან. სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ 7 ფაქტი დაფიქსირდა, გაიხსნა – 2.

რაც შეეხება 2017 წლის მთლიან მონაცემებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-დეკემბერში სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის 1 167 ფაქტი დაფიქსირდა, აქედან 581 შემთხვევა, დაახლოებით 50% ფულადსაკრედიტო სისტემაში იყო, საიდანაც მხოლოდ 152 შემთხვევა გაიხსნა. სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ სულ დარეგისტრირდა დანაშაულის 364 ფაქტი, საფინანსო საქმიანობის სფეროში – 187, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ 35 ფაქტი დაფიქსირდა.

ბპნ

უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების 98% ძველია

თბილისის მერმა კახა კალაძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში, სახელწოდებით „ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შეფასების თაობაზე კონსენსუსის მშენებლობა“.

კონფერენციაზე შეფასდა საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის პროცესის მიმდინარეობა, პირველადი შედეგები და სამომავლო ნაბიჯები.

კახა კალაძის განცხადებით, არსებული ეკოლოგიური პრობლემის დაძლევა რეფორმების განხორციელებას საჭიროებს, რომელიც შესაძლოა მტკივნეული იყოს, ამიტომ, ამ პროცესში მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა.

– ამ მიმართულებით ჩატარებული ყველა კვლევა კრიტიკულია. ჩვენც ჩავატარეთ კვლევა, რომლის წარმოდგენასაც ვაპირებთ და ვაჩვენებთ საზოგადოებას, თუ როგორ გარემოში ვცხოვრობთ. ვფიქრობ, თუ არ იქნება გარკვეული რეფორმები განხორციელებული და გარკვეული ნაბიჯები გადადგმული, შეუძლებელი იქნება არსებული მდგომარეობის გამოსწორება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანის როლი და ჩართულობა, რომ ყველამ ერთად შევცვალოთ მდგომარეობა, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, თბილისის მერია გეგმავს სატრანსპორტო პოლიტიკის წარდგენას, სადაც ასახული იქნება არსებული მდგომარეობის გამოსწორების გრძელვადიანი ხედვა და ღონისძიებები.

– სრული კატასტროფაა, რაც თბილისში ხდება. დაახლოებით 500 ათასზე მეტი ავტომანქანა გადაადგილდება დედაქალაქში. ყოველწლიურად 7 პროცენტით იზრდება უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების მაჩვენებელი და მათი 98% ძველია. სამწუხაროა, რომ სოციალურ ქსელში, ძირითადად, ყვითელი ავტობუსების ფოტოსურათებს აზიარებენ, თუმცა ეს ზღვაში წვეთია. ჩვენი ავტობუსების რაოდენობა დაახლოებით 600-650 ერთეულია, აქედან 143 ახალია, დანარჩენი ძველი. ყვითელი ავტობუსების პარკი კრიტიკას ვერ უძლებს, ყველანაირი რესურსი ამოწურული აქვს. ამიტომ, ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს მე ვამბობდი, რომ ჩემი მერობის პირობებში პარკი მთლიანად ჩანაცვლდებოდა ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, თანამედროვე ავტობუსებით და ეს ნამდვილად ასეც მოხდება – ჩავანაცვლებთ ყვითელ ავტობუსებს, ეს პრობლემა არ იქნება, მაგრამ გვრჩება უფრო სერიოზული პრობლემა – კერძო ავტომანქანები, რომლის 90 პროცენტზე მეტი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. თანაც კატალიზატორებს იღებენ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ფილტრია გამონაბოლქვისთვის და ყიდიან. მე მგონია, პირველი, რაც ტექნიკურ ინსპექტირებასთან ერთად უნდა გაკეთდეს, აუცილებლად უნდა ჩაიკეტოს ძველი ავტომანქანების შემოყვანა. ამან შეიძლება გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ ჩვენ ეს ნაბიჯი უნდა გადავდგათ. საქმე ეხება თითოეული ჩვენგანის, ჩვენი შვილების ჯანმრთელობას, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, ძველი ავტომანქანების საკითხი ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად განიხილება და გადაწყდება, როგორ მოხდება მისი დარეგულირება.

დედაქალაქის მერმა მერრიის სამსახურებს და დაქვემდებარებულ უწყებებს უკვე დაავალა სახელმწიფო ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება და მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ავტომანქანების ექსპლუატაციიდან ამოღება.

კონფერენციის ფარგლებში ორგანიზაციამ „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეებისათვის საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას ტექნიკური ინსპექტირების საჭიროებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კვლევით ორგანიზაცია „ჯეო

„ქართული მარშის“ წევრები სასამართლომ გაათავისუფლა

ლუკა ნაცვლიშვილი და ლავრენტი მაღლაკელიძე 7.000-7.000-ლარიან გირაოს გადაიხდიან

„ქართული მარშის“ წევრები, რომლებიც „რუსთავი 2“-თან განვითარებული მოვლენების დროს დააკავეს, სასამართლომ გაათავისუფლა.

ლუკა ნაცვლიშვილი და გიორგი ონიანი მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ 7.000-7.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართული მარშის“ ბრალდებულთა ნაწილს 7 ივნისს აღკვეთის ღონისძიების სახით მისჯილი პატიმრობა გირაოთი შეუცვალა. კერძოდ, მოსამართლემ მაშინ პატიმრობაში დატოვა ლუკა ნაცვლიშვილი და გიორგი ონიანი, ხოლო მიხეილ ამისულაშვილი, ლადო სადღობელაშვილი, ირაკლი დოლენჯაშვილი, ოლეგ დანგაძე და ბექა რევაზიშვილი გირაოთი გაათავისუფლა.

შეგახსენებთ, რომ 19 მარტს, „ქართული მარშის“ წევრებმა „რუსთავი 2“-ის შენობასთან გიორგი გაბუნიას მიერ ეთერში გაკეთებული შემდეგი რეპლიკა გააპროტესტეს: „მე ვფიქრობ, რომ იესო ქრისტემ საშინელი შეცდომა დაუშვა, როდესაც 2000 წლის წინ ისრაელში მოვიდა. უნდა მოსულიყო აჭარაში და ჯვარზე ვეღარ გააკრავდნენ, რადგან ხე აღარ იქნებოდა დარჩენილი, რადგან ბიძინამ ყველა ხე თავის ეზოში გადარგა“.

ამავე დღეს „რუსთავი 2“-ის წინ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მარშის“ აქტივისტები შეიკრიბნენ და ტელევიზიის ეთერში გასულ გადაცემასთან დაკავშირებით პროტესტს გამოხატავდნენ.

სწორედ ამ დროს განვითარებული მოვლენების დროს დააკავეს „ქართული მარშის“ აქტივისტები.

„ფრესკას“ მოცეკვავე ორი 12 წლის ბიჭი ხაშურთან საგუბარში დაიხრჩო

ხაშურთან, სოფელ ახალსოფლის მიმდებარედ, ხელოვნურად დაგუბებულ წყალში, ორი 12 წლის მოზარდის ცხედარი იპოვეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, მომხდარის შესახებ შეტყობინება მას შემდეგ შევიდა, როდესაც მოქალაქემ საგუბართან ველოსიპედები და ტანსაცმელი შენიშნა.

სამძებრო ღონისძიებებში ჩართული იყო ადგილობრივი პოლიცია და სამაშველო ჯგუფები.

ორი 12 წლის ბიჭი ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფრესკას“ მოცეკვავეა.

ამის შესახებ „ნიუპოსტის“ კორესპონდენტს გარდაცვლილების ახლობლებმა განუცხადეს. მათივე თქმით, შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც ბავშვები ცეკვის წრიდან სახლში ბრუნდებოდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლი დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მაშველებმა მტკვარში, წითელ ხიდთან, 28 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს — მამაკაცი 25 ივნისს დაიკარგა



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა ე.წ. წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვარში მამაკაცის გვამი იპოვეს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, გარდაცვლილი 28 წლის მამაკაცია, რომელიც მტკვარში ბანაობისას 25 ივნისს გაუჩინარდა.

სამძებრო-სამაშველო ღონისძიებები 7 დღის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლითაა აღძრული, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

ახალციხეში ხიდზე სამუშაოებისას 35 წლის მამაკაცი დაიღუპა

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში 35 წლის მამაკაცი ხიდზე სამუშაოებისას დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დენმა დაარტყა და ადგილზე მოკლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამთო-სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

კახა კახიშვილმა სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულება დახურა

სასჯელაღსრულების ნომერ მეშვიდე დაწესებულება დაიხურა. საპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა, სახალხო დამცველთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად დახურა.

როგორც მინისტრმა განაცხადა, მეშვიდე დაწესებულება ხშირად ხვდებოდა სხვადასხვა, მათ შორის სახალხო დამცველის ანგარიშებში, როგორც ძალიან ცუდი პირობების მქონე დაწესებულება და ყველა მის სწრაფად დახურვას ითხოვდა.

– ჩვენ დავხურეთ მეშვიდე დაწესებულება. სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში, მათ შორის ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მონიტორინგის წევრების ანგარიშებში იყო მოხვედრილი ეს დაწესებულება, როგორც ერთ-ერთი ძალიან ცუდი დაწესებულება. ბოლოს, როდესაც CPT იყო ჩამოსული საქართველოში, იმანაც აღნიშნა საკუთარ დასკვნაში, რომ ეს დაწესებულება უნდა დაიხუროს რაც შეიძლება მალე. გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოვახდინეთ სწრაფი დახურვა, სანამ ახალ დაწესებულებას არ ავაშენებდით, მაგრამ გავაუქმეთ ქვედა სართულები, სადაც პრაქტიკულად ჰაერი არ შემოდიოდა.

ბოლოს ჩვენ აქ გვყავდა 9 ადამიანი ზედა სართულებზე და დღეს ეს 9 ადამიანიც გადაყვანილია ევროპული სტანდარტების შესაბამის დაწესებულებაში. იმედი მაქვს, საქართველოში ასეთი ტიპის დაწესებულებები აღარ იარსებებს, – განაცხადა კახა კახიშვილმა.

მისივე თქმით, პატიმრები ამ დაწესებულებიდან ახალ დაწესებულებაში გადაიყვანეს, რომელიც დაახლოებით 25 პატიმარზეა გათვლილი.

– ახალი დაწესებულება დაახლოებით 25 კაცზე გაიხსნა. სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო იყო, რომ კომპაქტური დაწესებულება ყოფილიყო, რადგან აშკარა კრიმინალური მენტალიტეტის მატარებლები, ვგულისხმობ ე.წ. კანონიერ ქურდებს, ჩემი აზრით, ყოველთვის უნდა იყვნენ განცალკევებით სხვა პატიმრებისგან, რათა მეტ-ნაკლებად შევძლოთ და მათი გავლენები არ გაფართოვდეს. ამიტომ ვარემონტებდით ცალკე დაწესებულებას, რომ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ადამიანები და „კანონიერი ქურდები“ ყოფილიყვნენ ცალკე, რომ თავისი გავლენებით არ შეეწუხებინათ სხვა პატიმრები, – განაცხადა სასჯელაღსრულების მინისტრმა.

ოზურგეთში დის მკვლელობისთვის 80 წლის მამაკაცს 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება



80 წლის მამაკაცს, რომელსაც საკუთარი დის მკვლელობა ედება ბრალად, 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ოზურგეთში მომხდარ საზარელ ფაქტზე შს სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ სამართალდამცველებმა ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რ.თ. საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს, ხოლო გარდაცვლილი ქალის ცხედარს ბრალდებულის ეზოში მიაკვლიეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1938 წელს დაბადებული რ.თ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში მცხოვრებმა ბრალდებულმა, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, თავის დას – 1936 წელს დაბადებულ კ.თ.-ს, ჩაქუჩით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც კ.თ. ადგილზე გარდაიცვალა. ასევე, დადგინდა, რომ რ.თ.-მ გარდაცვლილი დის ცხედარი საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ახლოს, ეზოში დამარხა, ხოლო ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალის დაფარვის მიზნით, პოლიციაში განცხადება შეიტანა, თითქოს, მასთან ერთად მცხოვრები კ.თ. რამდენიმე დღეა უგზო-უკვლოდ არის დაკარგული.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“– აღნიშნავენ უწყებაში.

ავტომობილების ტექნიკურ ინსპექტირებას 1.200 ჭკვიანი კამერა გააკონტროლებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და რეფორმების სამმართველოს უფროსის, ბექა ლილუაშვილის განცხადებით, ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების აღსრულების ნაწილი არაეფექტიანია, რადგან საპატრულო ეკიპაჟი შემთხვევითი პრინციპით ამოწმებს, აქვს თუ არა ავტომობილს ტექდათვალიერება გავლილი.

– საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებით პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების აღსრულების ნაწილი საკმაოდ არაეფექტიანია, ამიტომ ჩვენ ვახორციელებთ ამ პროცესის მაქსიმალურად ავტომატიზებას, რაც ნიშნავს, რომ ეს პროცესი უნდა მივაბათ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაზე, რაც გაზრდის ეფექტიანობას ტექნიკური ინსპექტირების აღსრულების ნაწილში. 2019 წლის დასაწყისიდან უკვე ყველა ავტომობილისთვის ხდება სავალდებულო ტექდათვალიერება. ეს დაახლოებით მილიონამდე სატრანსპორტო საშუალებაა, – განაცხადა ბექა ლილუაშვილმა.

მისი თქმით, არსებული მოდელით საპატრულო ეკიპაჟების მხრიდან ტექდათვალიერების პროცესის აღსრულება წარმოუდგენელი იქნება.

– ამიტომ აუცილებელია სამეთვალყურეო სისტემა. წლის ბოლომდე დაახლოებით 1.200 ჭკვიანი კამერა დამონტაჟდება მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს სამუშაოები. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ორთვიან პერიოდში დაახლოებით შესაძლებელი იქნება აღსრულების ნაწილი განხორციელდეს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის გამოყენებით, – აღნიშნა შსს-ს წარმომადგენელმა.

ტექდათვალიერების ამოქმედებიდან, 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წესების დარღვევისთვის 2.555 სატრანსპორტო საშუალება დაჯარიმდა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობს.

პატიმრების დამცირებისთვის 4 პირს განაჩენი გამოუტანეს

პატიმრების დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის საქმეზე ზუგდიდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მეოთხე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების რეჟიმის ყოფილი უფროსი თეიმურაზ გოგოლი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი ირაკლი ჭითანავა, უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი უფროსი ინსპექტორი გოგიტა გაბისონია და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი მთავარი ინსპექტორი ლევან კოდუა ფოთის საქალაქო სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ მიიჩნია და ოთხივე მათგანს სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გადაწყვეტილება მოსამართლე შოთა სირაძემ გუშინ მიიღო. ოთხივე ბრალდებული სასამართლო დარბაზშივე დააკავეს. ისინი წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. როგორც საქმის პროკურორმა დავით პაპავამ განაცხადა, საქმესთან დაკავშირებით ოთხმოცამდე მოწმე დაიკითხა.

პროკურატურამ 2016 წლის 13 დეკემბერს პატიმრების დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ოთხი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

საფრანგეთმა უნგრეთიდან ელჩი გამოიხმო

საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა თავისი ელჩი უნგრეთში ფურნიე პარიზში გამოიხმო. მიზეზი

ფურნიეს მიერ პრემიერ ორბანის პოლიტიკის მხარდაჭერაა.

ორბანის დამოკიდებულებამ მიგრანტებისადმი ევროკავშირის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. ამავე დროს, საფრანგეთის ელჩმა ორბანს მხარი დაუჭირა. მაკრონისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ფურნიე წერს, რომ ორბანმა მიგრანტების პრობლემა გადაწყვიტა.

ფურნიეს მოხსენება ცნობილი ფრანგული საიტის ხელში მოხვდა. მისმა გამოქვეყნებამ ნამდვილი სკანდალი გამოიწვია.

ფურნიეც უნგრეთიდან გამოიხმეს. სავარაუდოდ, მას ელჩის თანამდებობიდან გადააყენებენ.

ზეეჰოფერმა შესაძლოა პოსტი დატოვოს

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ზეეჰოფერმა განაცხადა, რომ ევროკავშირის უკანასკნელი სამიტის დადგენილებას არ ეთანხმება. საუბარია მიგრანტებზე. ზეეჰოფერი მიიჩნევს, რომ გერმანიაში მიგრანტები საბუთების გარეშე არ უნდა შემოუშვან.

– ვეცდები, ფრაუ მერკელთან ეს საკითხი უახლოესი სამი დღის განმავლობაში გავარკვიო. თუ კანცლერის დარწმუნება ვერ შევძელი, თანამდებობიდან გადავდგები, – თქვა ზეეჰოფერმა.

ჯონ ბოლტონი: „ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია!“

ტრამპის სიტყვებმა, ვნახოთ, ყირიმის რუსეთთან შეერთების კანონიერებას ვაღიარებთ თუ არაო, მსოფლიოში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ამერიკის პრეზიდენტი მისივე გუნდის წევრებმა გააკრიტიკეს. ტრამპის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონი შეეცადა, ეს ნეგატიური მუხლი რამდენადმე გაენეიტრალებინა. ჟურნალისტებთან საუბარში ის მოყვა, თუ რა საუბარი ჰქონდა პუტინთან.

ბოლტონმა განაცხადა, რომ აინტერესებდა, თუ რას ფიქრობს პუტინი 2016 წელს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე.

ბოლტონმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ძალიან კარგი მოსაუბრეა. ყველა შეკითხვას მშვიდად და ამომწურავად პასუხობდა, არჩევნებში ჩარევასთან დაკავშირებით კითხვის დასმამ კი აშკარად გააღიზიანა:

– გაქვთ ამისი დამადასტურებელი რაიმე საბუთი? – შეეკითხა პუტინი.

– სპეცპროკურორი მიულერი აცხადებს, რომ აქვს, – მიუგო ბოლტონმა.

– მსურს, ამ საბუთს გავეცნო, მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება, ამაზე ჩემი აზრი მოგახსენოთ.

რუსეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-სთან ურთიერთობების ნორმალიზებით დაინტერესებულია. პუტინმა აღნიშნა, რომ ეს როგორც რუსეთის, ასევე აშშ-ის და მთელი მსოფლიოს ინტერესებშია.

– დროა, გამალებულ შეიარაღებას და სანქციებს ბოლო მოეღოს, – თქვა პუტინმა.

ბოლტონმა საუბარი უკრაინაზე ჩამოაგდო. პუტინმა თავისი ძველი შეხედულებები გაიმეორა.

– ჩვენ ვცდილობთ, უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან საერთო ენა გამოვძებნოთ. მიუხედავად იმისა, რომ კანონიერი მთავრობა ძალისმიერი მეთოდებით დაამხეს, უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გაგვიწყვეტია. მეტიც, უკრაინასთან გვაქვს სავაჭრო და ბიზნესურთიერთობები, ანუ ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ დაძაბულობა ჩაცხრეს, – განაცხადა პუტინმა.

– ყირიმი ვისია? – მოულოდნელად შეკითხა ბოლტონი.

– რასაკვირველია, რუსეთის, – მიუგო პუტინმა.

– აშშ-ს ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია გააჩნია! ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის კანონიერებას არასოდეს ვაღიარებთ.

– ეს პირადად თქვენი პოზიციაა თუ ამერიკის შეერთებული შტატების?

– ეს როგორც ჩემი, ისე ამერიკის შეერთებულ შტატების პოზიციაა.

– ძალიან სამწუხაროა.

– ამრიგად, შევთანხმდით იმაზე, რომ ყირიმზე განსხვავებული პოზიცია გაგვაჩნია.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა გააბათილა ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ ცნობს ყირიმის რუსეთში შესვლის კანონიერებას. უკრაინა მართლაც რჩება საკითხად, რომელშიც რუსეთი და აშშ ჯერ-ჯერობით ვერ შეთანხმდნენ. ვნახოთ, როგორ აისახება ეს ტრამპისა და პუტინის შეხვედრაზე.

მექსიკის პრეზიდენტი ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორი გახდა

მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მემარცხენე ძალების კოალიციის „ერთად შევქმნათ ისტორია“ კანდიდატმა ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორმა გაიმარჯვა.

წინასწარი მონაცემებით, ლოპეს ობრადორმა ამომრჩეველთა ხმების 53,8% მიიღო, ხოლო მისმა კონკურენტმა კოალიცია „წინ მექსიკისთვის“ კანდიდატმა რიკარდო ანაიამ ამომრჩეველთა ხმების 22,8% მიიღო.

ლოპეს ობრადორს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მიულოცა.

„ვულოცავ ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორს მექსიკის პრეზიდენტობას. მოუთმენლად ველი მასთან მუშაობას. ბევრი რამის გაკეთება მოგვიწევს, რაც სარგებელს მოუტანს აშშ-სა და მექსიკას“, – დაწერა დონალდ ტრამპმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.

თავის მხრივ, ლოპეს ობრადორმა პრეზიდენტის პოსტზე სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

– ტრანსფორმაცია ის იქნება, რომ კორუფცია ჩავკლათ. კორუფცია უთანასწორობის მთავარი მიზეზია სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. კორუფციისა და დაუსჯელობის დამარცხება ახალი მთავრობის მთავარი მისია იქნება, – განაცხადა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა.

ფრანგ სამხედროებზე თავდასხმას 4 მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა

მალიში ფრანგ სამხედროებზე თავდასხმის შედეგად 4 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო 30 დაშავდა.

შემთხვევა 1 ივლისს ქალაქ გაოში, მალის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მაშინ ამოქმედდა, როდესაც სამხედრო პატრულის მანქანა გამოჩნდა. აფეთქების შემდეგ სროლა დაიწყო.

„ბარხანის“ პატრულზე თავდასხმის შედეგად 4 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 30 ადამიანი მძიმედ დაშავდა. დაშავებულებს შორის სამხედრო პატრულის რვა წევრია“ – ნათქვამია მალის ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

2013 წლიდან მალიში 4 ათასი ფრანგი სამხედრო ოპერაცია „ბარხანში“ მონაწილეობს, რომლის მიზანია რეგიონში სიტუაციის სტაბილიზირება და ტერორიზმთან ბრძოლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან განმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

კოლხეთი-დინამო საეჭვო თამაშად მიიჩნიეს

ეროვნული ლიგის მე-17 ტურის მატჩმა, სადაც ფოთის კოლხეთმა თბილისის დინამოს უმასპინძლა და 3:6 დამარცხდა, ბუქმეიქერული კომპანიების ეჭვი აღძრა.

კონკრეტულად კი კომპანია ბეთვინში არანორმალურად დიდი თანხა შევიდა თბილისის დინამოს მოგებაზე, როდესაც გუნდი 0:1 აგებდა. ეს კიდევ არაფერი – კლიენტები თბილისის დინამოს ფორით მოგებაზე (ანუ, დინამო რომ 2 და 3 ბურთით მოიგებდა) დებდნენ ფსონს. საბოლოოდ, ასეც მოხდა – როგორც გითხარით და იცით, დინამომ 6:3 მოიგო. ამასთან, მომგებიანი 3 გოლი დინამომ ბოლო 8 წუთში გაიტანა.

ბეთვინის გაოცებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ამ მატჩზე შემოსული ფსონები უტოლდებოდა დიდი ხუთეულის (ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი) მატჩებზე დადებულ ფსონებს. აგრეთვე შავ სიაში შეიყვანა ყველა ის მომხმარებელი, რომელზეც ეჭვი მიიტანა.

თბილისის დინამოში ბეთვინის „ეჭვიანობას“ აბსურდულს უწოდებენ და არანაირი განცხადების გაკეთებას არ აპირებენ, ხოლო ბეთვინში აცხადებენ, რომ საქმე გადაცემულია სპორტული უსაფრთხოების ევროპულ ასოციაციაში.

სპორტული უსაფრთხოების ევროპულ ასოციაცია 2005 წელს შეიქმნა და მისი მიზანია საეჭვოდ ჩატარებული მატჩების მოკვლევა-უსაფრთხოება. ორგანიზაცია მსხვილ ბუქმეიკერულ კომპანიებთან და ასევე წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ფიფა, ოლიმპიური კომიტეტი და სხვები) თანამშრომლობს.

ტორპედო დაგვიანებულ გაძლიერებას იწყებს

ერთი კვირა დარჩა ქუთაისის ტორპედოს ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპამდე. 10 ივლისს, რიონისპირული გუნდი მოლდოვურ შერიფს უმასპინძლებს. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ, ტორპედო უშანსოდ იყო, ახლა ამ შანსებმა, სადღაც, 10%-ით მოიმატეს.

ევროტურნირებამდე 10 დღით ადრე გუნდის დაკომპლექტება არცთუ კარგი გადაწყვეტილებაა – გუნდმა შეთამაშება უნდა მოასწროს, მით უფრო, როდესაც მეტოქე წლებია, ერთად მოდის.

ასეა თუ ისე, ტორპედო ძლიერდება. იმერული კლუბის პირველ შენაძენზე ვწერდით – ეს სლოვაკი ნახევარმცველი მარეკ ჰლინკაა. 27 წლის სლოვაკმა ტორპედოსთან 1.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჰლინკა ტორპედოში ჩეხეთის უმაღლეს ლიგის ოსტრავის ბანიკიდან მივიდა. მანამდე ბანსკა ბისტრიცაში (სლოვაკეთი), პოდბრეზოვაში (სლოვაკეთი), პრაღის დუკლაში (ჩეხეთი), ტრნავის სპარტაკსა (სლოვაკეთი) და სკალიცაში (სლოვაკეთი) უთამაშია, ბანიკში კი, 2016 წლიდან გამოდიოდა.

გასულ სეზონში, ჰლინკამ ბანიკის მაისურით 26 მატჩი ჩაატარა, აქედან 25 შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, 2 გოლი გაიტანა, რომლიდანაც ერთ-ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: ბოლო ტურში ბანიკი შინ ბროიოვკას მასპინძლობდა და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. ოსტრაველებმა ის მატჩი 2:0 მოიგეს, მეორე გოლი კი, საჯარიმო დარტყმით, სწორედ ჰლინკამ გაიტანა და მის აწ უკვე ყოფილ კლუბს ჩემპიონატში ადგილი შეუნარჩუნა.

გარდა ამისა, ჰლინკა სლოვაკეთის 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო.

დავაანონსეთ 24 წლის უკრაინელი მცველის, ოლექსანდრ აზაცკის თამაშიც და ასეც მოხდა: აზაცკიც ტორპედოში ბანიკიდან მივიდა. იმერლებმა ფეხბურთელი 6-თვიანი იჯარით დაიმატეს, გამოსყიდვის უფლებით.

კარიერის განმავლობაში 24 წლის მცველს უკრაინულ მეტალისტში, კიევის დინამოსა და ჩერნომორეცში უთამაშია, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის, დავით ხოჭოლავას მეწყვილე იყო.

ქუთაისური გუნდის შემადგენლობას შეუერთდა 24 წლის ბულგარელი მცველი ლაზარ მარინიც, რომელმაც კონტრაქტი 2019 წლის აპრილის ბოლომდე გააფორმა.

24 წლის მცველს თავისი კარიერა ბულგარეთში აქვს გატარებული. ითამაშა ბულგარეთის უმაღლესლიგელ კლუბებში: ბოტევი, რაკოვსკი, ცსკა. 2016-17 წლების სეზონში მარინმა ბულგარეთის თასი მოიგო, 2017-18 წლების სეზონში კი – ქვეყნის სუპერთასი. ბულგარელმა ბოლო სეზონი ბოტევში გაატარა, 27 მატჩში ითამაშა და 1 გოლი გაიტანა.

ტორპედოს შემადგენლობაში 2 წლით ჩაირიცხა 24 წლის მცველი, ლევან გეგეჭკორი. კარიერის განმავლობაში გეგეჭკორს მარტვილის მერანში, ქობულეთის შუქურაში, ბათუმისა და თბილისის დინამოში უთამაშია. წელს გეგეჭკორმა სეზონი რუსთავის შემადგენლობაში დაიწყო და 15 მატჩი ჩაატარა.

გარდა ამისა, გეგეჭკორმა საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებშიც ითამაშა, 3 მატჩში ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც იყო.

23 წლის ნახევარმცველი მათე ცინცაძეც ტორპედოელია და, გეგეჭკორის მსგავსად, 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ცინცაძეს ტორპედოში ადრეც აქვს ნათამაშები – 2013 წელს თბილისის ლოკომოტივიდან გადავიდა. შემდეგ მის კარიერაში იყო თბილისის დინამო, საიდანაც უცხოეთში, პოლონურ პოგონში გაემგზავრა. წელს ცინცაძე საქართველოში დაბრუნდა, რუსთავის შემადგენლობაში 16 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

გარდა ამისა, მათე ცინცაძეს ყველა ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ნათამაშები.

ლებრონ ჯეიმსი ლოს ანჯელესში გადავიდა

ლეგენდარულმა სპორტსმენმა, ლებრონ ჯეიმსმა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და 4 წლით, ლოს ანჯელეს ლეიკერსს შეუერთდა. ამ პერიოდის განმავლობაში, მსუბუქი ფორვარდი 154 მილიონ დოლარს მიიღებს.

ეს ტრანსფერი კალათბურთის ექსპერტთა უმრავლესობისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, ისინი ლებრონის მომავალს სწორედ „ანგელოზებს“ უკავშირებდნენ.

საინტერესოა, რამ გააპირობა ჯეიმსის ლოს ანჯელესში გადასვლა? ეს წინაპირობა ყოველთვის არსებობდა და მას არაერთი ფაქტორი იწვევდა:

გუნდის საკმაოდ დიდი სახელფასო ჭერი, რომელმაც ფორვარდს საშუალება მისცა, იმაზე მეტი თანხა მოეთხოვა, ვიდრე აქამდე ჰქონდა; პლუს, ლეიკერსის ანგარიშზე კიდევ ერთი სუპერვარსკვლავისთვის საკმარისი ფულია და ეს ჯეიმსმა მშვენივრად იცოდა; ლეიკერსის გენერალური მენეჯერი ლებრონის კარგი მეგობარი მეჯიქ ჯონსონია; კალიფორნიელთა შემადგენლობაში უკვე ირიცხებიან ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც ღირსეულად შეავსებენ როგორც სასტარტო, ისე სათადარიგო სკამის ადგილებს; ლოს-ანჯელესელებს შეუძლიათ, სან ანტონიო სპურსიდან გადმოიბირონ კავაი ლეონარდი, რომელთან ერთად თამაშის სურვილი ლებრონს ყოველთვის ჰქონდა.

ლებრონ ჯეიმსი კარიერის განმავლობაში პირველად ითამაშებს ნბა-ს დასავლეთ კონფერენციაში. ფაქტია, რომ ასოციაციაში ძალიან საინტერესო მოვლენები მიმდინარეობს და, შესაძლოა, ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მეკარეების დუელი სუბაშიჩმა მოიგო

ხორვატია-დანია 1:1 (3:2პ)

ნიჟნი ნოვგოროდი. ნიჟნი ნოვგოროდ არენა

0:1 მ.იორგენსენი (2), 1:1 მანჯუკიჩი (4)

ხორვატია: სუბაშიჩი, ვრსალკო, სტრინიჩი (პივარიჩი 81), ლოვრენი, ვიდა, რაკიტიჩი, მოდრიჩი, ბროზოვიჩი (კოვაჩიჩი 71), პერიშიჩი (კრამარიჩი 97) რებიჩი, მანჯუკიჩი (ბადელი 108)

დანია: შმეიხელი, კიაერი, კნუდსენი, კრისტენსენი (შონე 46), მ.იორგენსენი, დალსგორი, დილეინი (კრონდელი 98), ერიკსენი, ბრეიტუეიტი (სისტო 106), პოულსენი, კორნელიუსი (ნ.იორგენსენი 66)

ნიჟნი ნოვგოროდში მეოთხედფინალის საგზური დაძაბულ ბრძოლაში ხორვატიის ნაკრებმა ირგუნა. ბალკანელები ფავორიტებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ საკუთარი თამაშით ეს ვერ დაამტკიცეს. ჯგუფურ ეტაპზე შესანიშნავი გამოსვლის შემდეგ შედარებით პასიურები უკვე და დაუსრულებლად ელოდნენ მეტოქის შეცდომას, რომელიც მხოლოდ 118-ე წუთზე დაუშვეს და ზლატკო დალიჩის გუნდმა ისიც ვერ გამოიყენა.

მთავარი მოვლენები მატჩის დასაწყისსა და ბოლოში განვითარდა. უკვე მეოთხე წუთზე ანგარიში 1:1 იყო – მატიას იორგენსენმა და მარიო მანჯუკიჩმა გოლები გაცვალეს. ორივე შემთხვევაში ბურთები საჯარიმოში შექმნილი არეულობის შემდეგ გავიდა.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ შეხვედრამ უფრო ფრთხილი ხასიათი მიიღო და შეცდომის დაშვებას ერიდებოდნენ. მეორე ტაიმი კიდევ უფრო არაფრით დასამახსოვრებელი იყო და დამსახურებულად გადავიდა დამატებით დროში. ოვერტაიმის ბოლოს ხორვატები „აფეთდნენ“ და მიწურულში პენალტიც მოიპოვეს, მაგრამ მათ ლიდერს, ლუკა მოდრიჩს კასპერ შმეიხელმა აუღო, რითიც ტრიბუნაზე მყოფი მამა, ლეგენდარული პიტერ შმეიხელი აღფრთოვანებაში მოიყვანა.

შმეიხელის წყალობით, დანიელებმა მეოთხედფინალში გასვლის შანსი კიდევ ერთხელ მიიღეს. სკანდინავიელთა მეკარემ ჩინებულად ითამაშა მატჩის შემდეგ დანიშნულ პენალტების სერიაში და კიდევ ორჯერ აიღო 11 მეტრიდან დარტყმული ბურთი. თუმცა, მისმა თანაგუნდელებმა ვერ ივარგეს, სამჯერ ცუდად დაარტყეს და დანიელ სუბაშიჩმა მათი მოგერიება შეძლო.

შედეგად, ხორვატია მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ რუსეთის ნაკრები ელოდება, დანიის ნაკრები კი, სახლში ბრუნდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კასპერ შმეიხელი

ორივე მეკარემ დიდებული მატჩი ჩაატარა. პირველად ხდება, რომ საუკეთესოდ წაგებული გუნდის კარის მცველი უნდა ვაღიაროთ. რომ არა შმეიხელი, არანაირი პენალტების სერია არ იქნებოდა, შემდეგაც შეუდარებელი იყო, მაგრამ თანაგუნდელებმა დააღალატეს.

ეკონომიკა

მცირე ბიზნესი 1 ივლისიდან, ნაცვლად 5%-ისა, 1%-ით დაიბეგრება

ივლისიდან, მცირე ბიზნესის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, ძალაში შევიდა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი. მასშტაბური საგადასახადო ცვლილება 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს შეეხება – ამასთან დაკავშირებით, დღეს, ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შემოსავლების სამსახურის უფროსმა, გიორგი თაბუაშვილმა ბრიფინგი გამართა.ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალი საგადასახადო რეჟიმი, ერთი მხრივ, აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს (1%) მცირე ბიზნესისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მეწარმეებისთვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით, მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯები. აღნიშნული რეფორმის შედეგად, მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად გაიზრდება მცირე ბიზნესის წილი.

– ახალი საგადასახადო რეფორმა უზრუნველყოფს სექტორის უფრო მეტ გამჭვირვალობას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეებს, უფრო მეტად ჰქონდეთ წვდომა ფინანსურ რესურსებზე. დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მნიშვნელოვანი სტიმულია მცირე ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში იქნება 500.000 ლარამდე, ნაცვლად მანამდე არსებული 100.000 ლარისა. მმცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი მიმდინარე წლის 1 ივლისიდან იბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5%-სა. ამასთან, 500.000 ლარზე გადაჭარბების მიუხედავად, პირს მცირე ბიზნესის სტატუსი უნარჩუნდება 2 კალენდარული წლის განმავლობაში, – განაცხადა შემოსავლების სამსახურის უფროსმა, გიორგი თაბუაშვილმა.

ცვლილების თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი აღარ იქნება მეწარმე ფიზიკური პირის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი. ამასთან, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს და დეკლარირებას განახორციელებს ყოველთვიური მარტივი დეკლარაციის ფორმის მეშვეობით. როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს. მეწარმე ფიზიკურ პირად რეგისტრაცია (მაგ. სახელოვნებო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში) ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ, ხოლო თუ პირი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად განიხილება ინდივიდუალურ მეწარმედ, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე, ვალდებულია დარეგისტრირდეს ინდივიდუალურ მეწარმედ.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით, მეწარმე ფიზიკური პირი მიმართავს საგადასახადო ორგანოს. მცირე ბიზნესის სტატუსი პირს ენიჭება განცხადებაში მითითებული თარიღიდან. მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, მეწარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს იმავე წელს, სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით, მიმართოს საგადასახადო ორგანოს და კვლავ მიიღოს სტატუსი. როგორც ბრიფინგზე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსმა, გიორგი თაბუაშვილმა განაცხადა, მცირე ბიზნესის სტატუსისა და დაბეგვრის ახალი რეჟიმის შესახებ საინფორმაციო კამპანია მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართება და შესაბამისი გრაფიკი შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

შეგახსენებთ, რომ რეფორმების ახალი ტალღის ფარგლებში, აღნიშნული ინიციატივა პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ, ფინანსთა მინისტრის რანგში მიმდინარე წლის დასაწყისში დააანონსა. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა შეხვედრები მცირე მეწარმეებთან, სადაც ისინი დეტალურად გაეცნენ აღნიშნული რეფორმით გათვალისწინებულ სიახლეებს. აღნიშნული რეფორმის შედეგი იქნება მხოლოდ პოზიტიური – ის ახალ სტიმულს, ბიძგს მისცემს ქვეყანაში საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას.

კომერსანტი

გოგონამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ქუჩაზე გადარბენა სცადა და მანქანის ქვეშ აღმოჩნდა

მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილი გოგონა შეეცადა ქუჩა გადაერბინა, მაგრამ ავტომობილის ქვეშ აღმოჩნდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი მექსიკის სონორის შტატის ქალაქ ნოგალესში მოხდა. 22 წლის გოგონამ, სახელად მინერვამ, სამხაზიანი გზის გადაკვეთა სცადა, რომელზეც გაცხოველებული მოძრაობა იყო. სავარაუდოდ ამ დროს გოგონა ტელეფონზე საუბრობდა.

მესამე ზოლზე მიღწევისას, გოგონას ფეხი გადაუბრუნდა და მანქანის ბორბლების წინ აღმოჩნდა. შეშინებულმა მძღოლმა მანქანა უკან დასწია. დაშავებული გოგონა მრავლობითი მოტეხილობებით ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის მისი მდგომარეობა სტაბილურად ფასდება.

ტურისტები უიშვიათესი ჯიშის ცხოველს არყით გაუმასპინძლდნენ

ტურისტები უიშვიათესი ჯიშის ცხოველს კვოკს მისი სიცოცხლისთვის სახიფათო სასმელით, არყით გაუმასპინძლდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი კუნძულ როტნესტზე იქნა გადაღებული, რომელიც დასავლეთ ავსტრალიის კონტინენტალური სანაპიროს მახლობლად მდებარეობს. ის ის უიშვიათესი ადგილია, სადაც კვოკები ველურ ბუნებაში შემორჩნენ. მამაკაცმა ცხოველს პინა კოლადას გემოს არაყი დაალევინა. კადრს მიღმა ისმის ქალის სიცილი, რომელიც ვიდეოს იღებს.

ვიდეორგოლი სოციალურ ქსელებში გავრცელდა და მათმა მომხმარებლებმა მკაცრად გააკრიტიკეს ტურისტების საქციელი. სათვალთვალო კამერის დახმარებით მამაკაცის მოძებნა მოხერხდა. ის 200 ავსტრალიური დოლარით დააჯარიმეს და კუნძულზე ჩასვლის უფლება ჩამოართვეს.

პორნომსახიობი თაყვანისმცემლისთვის მკერდზე ავტოგრაფის დაწერის გამო სასამართლოში აღმოჩნდა

პორნოვარსკვლავი რონი ჯერემი თაყვანისმცემელმა სექსუალურ ზეწოლაში დაადანაშაულა, რომელმაც მას ავტოგრაფის მის მკერდზე გაკეთება სთხოვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობი გოგონას მისი ნებასურვილის გარეშე შეეხო.

ბრალმდებელი გოგონა, რომელიც საკუთარ თავს კეი ბის უწოდებს, ერთ-ერთი რადიოსადგურის სარეკლამო ღონისძიებაზე მოდელად მუშაობდა. მისი თქმით, ჯერემი მას თავს მას შემდეგ დაესხა, როდესაც მას მკერდზე ავტოგრაფი დააწერა. ის ამტკიცებს, რომ მამაკაცმა ხელი ბიუსჰალტერის ქვეშ შეუყო და მკერდში ხელი სტაცა. როდესაც სელფის იღებდნენ, პორნომსახიობმა ხელი დუნდულებზე ჩაავლო, უკნიდან კისერში კოცნიდა, შემდეგ კი ჰკითხა: „ტანში ჟრუანტელმა დაგიარა?“

გოგონას თქმით, ის ცდილობდა გაქცეულიყო, მაგრამ მსახიობი არ უშვებდა. სასამართლოს მონაცემებით, ინციდენტის შემდეგ კეი ბიმ ტრავმისშემდგომი აშლილობა გადაიტანა და ნაყოფი დაკარგა.

თავად ჯერემი ყველა ბრალდებას უარყოფს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანეთის დედოფალმა ოპერაციის გაკეთებაზე უარი თქვა

ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II უარს აცხადებს მუხლებზე აუცილებელი ოპერაციის გაკეთებაზე, რათა დაგეგმილი მიღებები არ გააცდინოს. ამ ინფორმაციას ბუკინჰემის სასახლესთან დაახლოებული ინფორმირებული წყარო ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 92 წლის ბრიტანეთის დედოფალი გაჭირვებით ახერხებს სკამიდან წამოდგომას. ლონდონის ჩელსიში ტრადიციული ყვავილების შოუს დროს მან თითქოსდა შესჩივლა მეგობრებს, რომ მისი მუხლები „ჭირვეულობენ“.

– მაგრამ ის ოპერაციის გაკეთებაზე უარს აცხადებს, ვინაიდან ამის შემდეგ მას დიდხანს მოუწევს აღდგენითი პროცესის გავლა. ის წარმოუდგენლად მამაცია, – განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ. მან ასევე დაამატა, რომ დედოფალს ხმაურის ატეხა არ სურს.

აღსანიშნავია, რომ დედოფალი თავისი მტკიცე ჯანმრთელობითაა ცნობილი. მიუხედავად ასაკისა, ის რეგულარულად სეირნობს პონიზე ამხედრებული და ზოგჯერ მანქანის საჭესთანაც თავად ჯდება.

ხუთმა სპილომ ტაილანდელი გადათელა

ტაილანდელი მამაკაცი დაიღუპა მას შემდეგ, რაც ის სპილოების ფეხქვეშ აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პროვინცია იალას მცხოვრები სამუშაოდ მინდორში მიდიოდა, როდესაც მას გარს ხუთი სპილო შემოეხვია. ისინი მას ფეხებით შედგნენ და გასრისეს.

40 წლის ტაილანდელს სხეულზე მრავალი დაზიანება აღმოაჩნდა, მათ შორის ზურგისა და თავის არეში. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელმა აღიარა, რომ ბუჩქებიდან ხმაური ესმოდა. აშკარა იყო, რომ ცხოველები იქ იმყოფებოდნენ.

სპილოების დაცვის ტაილანდური ცენტრის მონაცემებით, გარეული სპილოების პოპულაცია მნიშვნელოვნად შემცირდა: 1850 წელს მათი რაოდენობა 100 ათასს აღწევდა, მაშინ როდესაც, დღეისთვის ტაილანდში სულ 2,7 ათასი სპილო ბინადრობს. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ეს ცხოველები ტყეების გაკაფვის გამო იძულებულნი გახდნენ, ადამიანების სიახლოვეს დასახლებულიყვნენ. ეს კი მათი და ადამიანების გახშირებული დაპირისპირების მიზეზი გახდა.

ქალის კაბის ქვეშ გადაღების მოყვარული ამერიკელი აფეთქდა



ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ მადისონის მცხოვრები მამაკაცი შეეცადა ფეხსაცმლის ცხვირზე დამაგრებული ფარული ვიდეოკამერით ესარგებლა და უცნობი ქალებისთვის კაბის ქვეშ საცვლები გადაეღო, მაგრამ მისი ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ადგილობრივი პოლიციის ბლოგში ნათქვამია, რომ მოწყობილობა მანამდე აფეთქდა, სანამ მამაკაცი მის გამოყენებას დაიწყებდა.

პოლიციამ გამოარკვია, რომ მოწყობილობა უვარგისი მისმა აკუმულატორმა გახადა. „ჯაშუშური“ კამერის მფლობელმა განაცხადა, რომ აპარატურა სახლში „სანადიროდ“ გამოსვლის წინ შეამოწმა და სწორედ ამ დროს აუფეთქდა. ამის გამო მან დამწვრობა მიიღო. მომხდარის შესახებ მან თავის მოძღვარს უამბო. მან კი ურჩია პოლიციაში მისულიყო და მომხდარის თაობაზე განეცხადებინა.

მამაკაცი გაათავისუფლეს, ვინაიდან მან ვერაფრის გადაღება ვერ მოასწრო.

მსოფლიოში ყველაზე მსუქანი გარეული ღორების ვიდეო გავრცელდა

ნატიონალ Geographic-მა გამოაქვეყნა კადრები, რომლებზეც ტყის უზარმაზარი გარეული ღორებია ასახული, რომლებიც ყველაზე მსხვილ სახეობად ითვლებიან.

შავი ფერის ცხოველი, რომელიც უხეში ბეწვითაა დაფარული, საშუალოდ 272 კილოგრამს იწონის და უკიდურესად იშვიათად ხვდება ადამიანების თვალთახედვის არეში.

ნატიონალ Geographic-ს მკვლევარმა რაფაელ რეინა-ურტადომ აღმოსავლეთ აფრიკის ბინადარ ცხოველს მიაგნო. ვიდეორგოლზე ასახულია ტახების ოჯახი მათ ჩვეულებრივ საცხოვრებელ გარემოში. მისი დახმარებით სპეციალისტებმა შეიტყვეს, რომ ისინი ჩვეულებრივ ჯგუფებად გადაადგილდებიან, რომლებიც სამი-ოთხი მოზრდილი ტახისა და მათი გოჭებისგან შედგება.

გარეული ღორების პოპულაცია სახიფათო ტემპებით მცირდება მიუხედავად იმისა, რომ მათი ნახვა გაძნელებულია. მათზე ხორცის გამო აქტიურად ნადირობენ.

ასტროპროგნოზი

3 ივლისისთვის

ვერძი – პრობლემების მოგვარებას სერიოზული სირთულეები ახლავს. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. ** კურო** – ნერვებს ნუ აჰყვებით. ემოციები მოთოკეთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდეთ. დაისვენეთ ბუნების წიაღში. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. თქვენს ცხოვრებაში ახალგაცნობილ ადამიანს ნუ ჩარევთ. **ლომი** – წონასწორობა შეინარჩუნეთ. არასაჭირო კონტაქტებს თავი აარიდეთ. **ქალწული** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში გრძნობებს გასაქანი არ მისცეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ფინანსური კუთხით სირთულეები გელით. ნუ გარისკავთ. **ღრიანკალი** – ენერგია აღიდგინეთ, ივარჯიშეთ, წაიმუშავეთ ბაღში. საკუთარი ქმედებები კრიტიკულად შეაფასეთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. თამამი და თავდაჯერებული ხართ. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება სამომავლოდ არ გადადოთ. პირად ცხოვრებაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. ყურადღება მთავარ საქმეს დაუთმეთ. **თევზები** – დაშვებული შეცდომებიდან სათანადო დასკვნები გამოიტანეთ. საღამოს ენერგია გემატებათ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. უხასიათობა, ცუდი გუნება-განწყობილება; 2. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 3. ქართველი ფეხბურთელი ძმების გვარი; 4. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 7. ჩინური ფინიკი; 9. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 12. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია ევროპარლამენტის შტაბ-ბინა; 14. კომპანია „ფიატის“ მფლობელი; 15. პირი ქართველ მეფეთა კარზე, რომელიც პირველი სინჯავდა მეფისთვის განკუთვნილ საჭმელს; 17. ფრანგი კომიკოსი; 20. ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი.

თარაზულად: 5. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 6. ადრიატიკის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში; 8. ღამის პეპელა; 10. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 11. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 13. წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგოდ საბრძოლო სამხედრო გემი; 16. ქუჩაზე მოწყობილი სახანძრო ონკანი წყლის ასაღებად; 18. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 19. კუთხე საქართველოში; 21. მგალობელი ჩიტი; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 23. მეღვინეობის სპეციალისტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. კომბაინი; 6. კვარტეტი; 8. ტუბერკულოზი; 10. კაპრალი; 11. ნამი; 12. ისლამი; 14. ლიონი; 17. მელია; 19. პორტი; 20. პალისადი; 21. იოდი; 22. მანჰეტენი; 23. პირანია.

შვეულად: 1. იოგურტი; 2. გასტრიტი; 3. იტრიუმი; 5. აკრიდინი; 7. კომპასი; 9. ლინოლეუმი; 13. მასტიკა; 15. ირონია; 16. კურარე; 18. კრინი.

სკანვორდის პასუხები:

1. აბი; 2. ელია; 3. შუ; 4. არშია; 5 გრემ; 6. კარაჯალე; 7. კალნაბი; 8. აკრა; 9. ბი; 10. რაკეტა; 11. ორმო; 12. ჯინორია; 13. ასპარეზი; 14. ამია; 15. სამსალა; 16. მარიო; 17. პანიკა; 18. არი; 19. სოვდაგარი; 20. ბროლი; 21. მარტი; 22. ატროფია; 23. ანკარა; 24. პიესა; 25. რუ; 26. პიტნა; 27. არია; 28. მთა; 29. აი; 30. გურჯაანი; 31. მადამ; 32. კაა; 33. ფარა; 34. მარაკანა.

სურათებზე: ლეტიცია კასტა; ერიკ კანტონა.

სულხან-საბა ორბელიანის 360 წლის იუბილე დმანისში აღინიშნა

2018 წელი სულხან-საბა ორბელიანისთვის საიუბილეოა. წელს მისი დაბადებიდან 360 წელი შესრულდა.

დმანისში მდებარე ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სულხან-საბა ორბელიანის 360 წლის იუბილე სპეციალური წარმოდგენით აღნიშნა.

ბოლნისში, მწერლის მშობლიურ მხარეში, დმანისის თეატრმა სახალხო დღესასწაულზე „საბაობა 2018“ სპექტაკლის „სიბრძნე სიცრუისა“ პრემიერა წარმოადგინა.

გუდიაშვილის მოედანზე ახალი აღმოჩენა გაკეთდა

ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნისა და მიმდებარე არეალის საკონსერვაციო სამუშაოების დროს კიდევ ერთი ახალი აღმოჩენა გაკეთდა.



კონსერვაციის გეგმა ორგანიზაცია „იკომოს საქართველო“ მოამზადა. ტერიტორია, რომელსაც კონსერვაცია შეეხება, 4 ჰექტარს მოიცავს. მასზე 72 ნაგებობაა, რომელთაგან 31 კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონეა.

ლადო გუდიაშვილის მოედანი თბილისში ძველი თბილისის რაიონში, თავისუფლების მოედნის მახლობლად მდებარეობს აბო თბილელის, გია აბესაძის, ბეგლარ ახოსპირელისა და მიხეილ ლერმონტოვის ქუჩების შესაყარზე. მოედნის გეგმა გვიანი შუა საუკუნეებიდანაა შემორჩენილი, შენობათა ანსამბლი კი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეს მიეკუთვნება.

რამდენიმე დღის წინ, ახოსპირელის 4 ნომერში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში, მიწის სამუშაოების დროს, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიის სამსახურის ზედამხედველობით ხორციელდება, გამოვლინდა გვიანი შუა საუკუნეების მარანი, სხვადასხვა ზომის რამდენიმე ქვევრი. მათი ნაწილი მიწითაა ამოვსებული, ნაწილი დაბზარულია, ნაწილი კი უახლოეს დღეებში გაიხსნება არქეოლოგთა მიერ.

წარმოდგენილი კერამიკული ნაწარმი სწორედ ამ მარანში მდებარე ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩნდა. აღმოჩენის შედეგად გამოვლინდა დიდი, საშუალო და მცირე ზომის მოჭიქული სამი დოქი, საშუალო და მცირე ზომის ჭინჭილა. ხუთივე მათგანი ერთნაირად, მომწვანოდაა მოჭიქული. ისინი ზუსტად იმეორებენ ორიოდ კვირის წინ, ასევე გუდიაშვილის მოედანზე, ახოსპირელის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში გამოვლენილ კერამიკულ ჭურჭელზე დატანილ დამღას, წვეროსანი მამაკაცის ანფასს, რომელსაც პირობითად „თბილისელი“ ეწოდა.

კერამიკული ნაწარმი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნით შეიძლება დათარიღდეს.

კერამიკული ნაწარმის გარდა, ქვევრში დაფიქსირდა ასევე სპილენძის აზარფეშა, გრძელტარიანი, ფართოპირიანი დიდი კოვზისებური ღვინის სასმისი და სპილენძის თეფში.

სამუშაოებს სისტემატიურ ზედამხედველობას უწევს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიის სამსახური.

იაკობ ზუბალაშვილის კოლექცია საფრანგეთში გამოიფინა

ცნობილმა ქველმოქმედმა ძმებმა ზუბალაშვილებმა საქართველოსთვის ბევრი სიკეთე გააკეთეს. ამის მიუხედავად, მათ სამშობლოში ბევრი წყენა შეხვდათ, რის გამოც, იაკობ ზუბალაშვილმა ძვირფასი ნივთების კოლექცია საფრანგეთს აჩუქა.

პარიზში დღესაც გამოფენილია ქართველი ქველმოქმედის მიერ ნაჩუქარი კოლექცია, რომლის ფოტოებიც ინტერნეტში ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ჩემი მეგობრის გოგა ქართველიშვილის წყალობით, პარიზში აღმოვაჩინე ის, რაც ვიცოდი გადმოცემით და არ მენახა.

ეს არის ზუბალაშვილის კოლექცია, რომელიც ამ კოლექციონერმა საფრანგეთს დაუტოვა. პეტიტ პალეში ერთ-ერთ დარბაზს დღემდე ამშვენებს მისი სახელი, დღეს ეს აბრაც ვნახე და ძვირფასი ნივთებიც!

ზუბალაშვილმა საფრანგეთს უსახსოვრა იმიტომ, რომ ქართველებზე გულნატკენი იყო. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა, სამშობლოსთვის რომ ეჩუქნა, იქნებოდა კი ისე დაფასებული და უკვდავყოფილი, როგორც პარიზში?!

საქართველოში დღემდე ხომ არ არსებობს არც ერთი კოლექციონერის და მეცენატის სახელობითი სამუზეუმო დარბაზი, სადაც მისი კოლექცია იქნებოდა გამოფენილი, არადა გვყავდა ზარეცკი, პაპუნა წერეთელი...

დარბაზი კი არა, ნაჩუქარ ნივთებსაც კი არ ვაწერთ, ვინ უსახსოვრა სამშობლოს, ამიტომ, მართალი გითხრათ, სულ არ მწყდება გული, რომ საფრანგეთს აჩუქა, ამით დიდი პოპულარიზაცია გაუწია სამშობლოს, ოღონდ ეგაა, გვარს თუ ქართული ვარიანტით დააწერენ, მეტი თვალსაჩინოება იქნება.

კვარშას ტაძარი წვიმის წყლებისგან ირეცხება

კვარშას ტაძარი ჯავახეთში, ახალქალაქში მდებარეობს და VII საუკუნით არის დათარიღებული.

ფოტოხელოვანმა კუკური მეტრეველმა, რომელიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ფოტომემატიანედ არის მიჩნეული, ეკლესიის უმძიმესი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა:

– გამეტებული კვარშას ტაძრის ინტერიერი... თავის დროზე მოხატული ტაძარი, სახურავმორღვეულია და წვიმის წყლებისგან ირეცხება. მალე ალბათ თაღიც ჩამოიქცევა...

ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“: „არ გაავრცელოთ ცილისმწამებლური განცხადებები“

ასეთი მოწოდებით მიმართავს ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ საზოგადოებას და სთხოვს ირაკლი ნოზაძესთან დაკავშირებით, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან:

– დიდი მადლობა ყველას, კიდევ ერთხელ, მხარდაჭერისთვის და გვერდში დგომისთვის კოლეგებს, მედ.პერსონალს, სასწრაფოს გადაუდებელ სამსახურს, ჟურნალისტებს, ჩვენს მსმენელს.

მადლობა ღმერთს, ირაკლი გადარჩა და მიმდინარეობს რეაბილიტაციის პროცესი. ახლა მთავარია მისი გამოჯანმრთელება. დაველოდოთ გამოძიებას. კიდევ ერთხელ გთხოვთ, უმორჩილესად, რომ არ გაავრცელოთ ცილისმწამებლური განცხადებები, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის გამოძიების პროცესს და ჭეშმარიტების დადგენას.

ჩვენი ოჯახის პრინციპია – არა ნარკოტიკს და ამ პრინციპის ერთგული ვართ და დავრჩებით ბოლომდე!

დათუნა მგელაძემ სილამაზის სალონი გახსნა

მომღერალმა დათუნა მგელაძემ ბიზნესმენობა გადაწყვიტა და სილამაზის სალონი გახსნა. მან ბიზნესი ცნობილ სტილისტთან ბადრი ფევაძესთან ერთად დაიწყო. ბადრი ქართული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავების სტილისტია და მომხმარებელთა ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის.

დათუნა მგელაძე:

– თბილისის სილამაზის სალონებს შეემატა კიდევ ერთი, განსხვავებული სალონი „ბი ვან“ – იყავი პირველი. იდეის ავტორები მე და ჩემი მეგობარი ბადრი ფევაძე ვართ, ეს ადამიანი ყველაზე დიდი პროფესიონალია თავის საქმეში, რაც ყველამ ძალიან კარგად იცით. გელოდებით ჩვენს ახალ სილამაზის სალონში, კომფორტულ გარემოში, პროფესიონალი სტილისტები იზრუნებენ თქვენი ისედაც ლამაზი გარეგნობის სრული გრაციოზულობით წარმოჩენაზე. ჩვენ უამრავი სიახლე და სერვისები გვაქვს დაგეგმილი, რომელსაც ჩვენი ერთგული მომხმარებლები აუცილებლად შეიტყობენ.

„ბი ვან“ – სილამაზე არჩევანშია, ეს არის ჩვენი სლოგანი. სიყვარულით თქვენი დათუნა მგელაძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მსოფლიოში ყველაზე მსუქანი ბავშვი გახდა

ინდოეთის ქალაქ დელის მცხოვრებმა მიხერ ჯაინმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად გაიარა ქუჩაში, ეს კი მას შემდეგ შეძლო, როდესაც წონაში 65 კილოგრამი დაიკლო.

14 წლის მოზარდი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მძიმე ბავშვი უწოდეს, 237 კილოგრამს იწონიდა. მიმდინარე წლის აპრილში მან კუჭის შუნტირების ოპერაცია გადაიტანა და დღეისთვის მისი წონა 172 კილოგრამს შეადგენს.

ინდოელი სრულიად სტანდარტული დაიბადა, მაგრამ მსუქანი კერძებისა და გაზიანი სასმელებისკენ მიდრეკილებამ ის გამოიწვია, რომ 8 წლის ასაკში ის 80 კილოგრამს იწონიდა. დედამისის თქმით, ისინი პირველად მაშინ შეშფოთდნენ, როდესაც ბავშვი ხუთი წლის იყო. ექიმმა დაადასტურა და მათ შვილს სიმსუქნე აწუხებდა, მაგრამ მეტისმეტად პატარა ასაკის გამო მისთვის ოპერაციის გაკეთებაზე უარი თქვეს. ამის მაგივრად ბავშვს წამლები გამოუწერეს.

ქალის თქმით, წამლებმა მისი შვილი მოადუნა და მან სიარული შეწყვიტა. ბავშვის დედა თვლის, რომ სწორედ წამლებმა მიიყვანეს მისი შვილი ასეთ სავალალო მდგომარეობამდე, თუმცა, არც იმას უარყოფს, რომ შვილს ცხიმიანი კერძებს აჭმევდა.

ის წლები არ დგებოდა საწოლიდან და საბოლოოდ 2017 წლის დეკემბერში ექიმთან აღმოჩნდა. გაირკვა, რომ მისი წონა 237 კილოგრამს შეადგენდა, რაც მსოფლიოს მოზარდებს შორის ყველაზე დიდი წონა აღმოჩნდა. შუნტირების ოპერაციამდე მან დამოუკიდებლად 197 კილოგრამამდე დაიკლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კანადაში ქურდებმა პოლიციელთან იჩხუბეს

კანადაში მაღაზიაში ქურდებმა ჩხუბი გაუმართეს პოლიციელს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ახალი ამბების პორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი კანადის პროვინცია ალბერტას ქალაქ სპრუს-გროუვში მოხდა. მაღაზიაში გოგონა და ყმაწვილი შევიდნენ და შეეცადნენ გაზიანი სასმელი შეეძინათ. გამყიდველის თხოვნაზე პინ-კოდი შეეყვანა, ყმაწვილი დაიბნა და თავის მართლება დაიწყო, რომ ეს მისი მეგობარი გოგონას ბარათი იყო. მაღაზიის მეპატრონემ წყვილის ქცევა საეჭვოდ მიიჩნია და პოლიცია გამოიძახა. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა წყვილი, მაღაზიაში შესვლამდე რამდენიმე საათის განმავლობაში მის გარშემო დადიოდნენ.

როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიციელი მივიდა, ყმაწვილმა თავის თანამგზავრ გოგონას ხელი ჰკრა და პოლიციელზე მიაგდო, თავად კი გაქცევას შეეცადა, მაგრამ ამ დროს ხელში ჩაუვარდა მაღაზიის მეპატრონის მეუღლეს. ქურდმა მის ხელიდან დასხლტომა მოახერხა და შეეცადა შენობის დამხმარე სათავსოდან დაეღწია თავი, მაგრამ კარი დაკეტილი აღმოჩნდა. უკან შებრუნებული შეეცადა კანფეტების ორი შეკვრა გაეყოლებინა, მაგრამ პოლიციელმა ის აიძულა, კანფეტები გადაეყარა და იატაკზე დაწოლილიყო.

ეს არეულობა რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. გოგონა ასევე შევარდა დამხმარე სათავსოში და სხვენში აძრომა მოახერხა, მაგრამ მალევე ჩამოვარდა და პირდაპირ თაროებზე დაეცა.

ქურდები აღმოჩნდნენ 29 წლის ბრიტნი ბერკი და 28 წლის რიჩარდ პარისო. მამაკაცს სხვისი საკრედიტო ბარათით სარგებლობის და ხუთი ათასი დოლარის ღირებულების საკუთრების მოპარვის, დაპატიმრების დროს წინააღმდეგობის გაწევის და პოლიციის ოფიცერზე თავდასხმის ბრალდება წაუყენეს. მის თანამზრახველ გოგონას პოლიციისთვის მუშაობაში ხელის შეშლა, ბრძანების შესრულებაზე უარის თქმა და სხვისი ქონების დაზიანება ბრალდება.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4516
- ევრო — 2.8537
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2209
- 100 რუსული რუბლი — 3.9019

ამინდის პროგნოზი 3 ივლისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი



იორამ ჩადუნელი
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი

რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

იუმორი

მოსამართლე ბრალდებულ გოგონას ეკითხება:

– რატომ მოწამლეთ მეზობლები?

– აბა რა მექნა? მაღაზიაში მითხრეს, რომ უმჯობესი იქნება, თუ ტარაკანებს მეზობლებთან ერთად მოწამლავთო.

•••

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს უყვება:

– სახლში მოვლინებიდან მოულოდნელად დავბრუნდი. გამოვაღე კარადა, ცარიელია, საწოლის ქვეშ შევიხედე, არაფერია, მაცივარი – ცარიელია...

– და ცოლმა რა გითხრა?

– რა ცოლი, ცოლი საერთოდ არ მყავს...

– აბა?

– სახლი გამიქურდეს.

•••

ბიჭი თავის ოთახში გოგონას ხელებს უფათურებს, არ ეშვება, გოგონა კი ეწინააღმდეგება და ეუბნება:

– მოდი, უბრალოდ, მეგობრებად დავრჩეთ.

– კარგი. მაშინ მაღაზიაში წამომყევი, სასმელი ავიღოთ და გოგონები შევაბათ!

•••

კაცს ცოლმა და სიდედრმა გული გაუწვრილეს შეკითხვით, თუ რისი ჩუქება უნდა დაბადების დღეზე. ქმარი ცოლს ეუბნება:

– ყველაფერი მაქვს, არაფერი მჭირდება. მხოლოდ სექსი.

– კარგი... და ჩემგან?

•••

გათხოვებიდან სამი კვირის თავზე ახალგაზრდა ქალი დედას ურეკავს და ტირილით ეუბნება:

– დედა, უბრალოდ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე! აქ ისეთი ოჯახური სცენა გათამაშდა! საშინელი!

– შვილო, დამშვიდდი, ნუ ნერვიულობ. ადრე თუ გვიან, ყველა ოჯახში ხდება ჩხუბი და კამათი.

– ეგ ვიცი, მაგრამ გვამს რა ვუყო, გვამს?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მე ვიცი, თუ რამდენი წყვილი ფეხსაცმელი სჭირდება ქალს იმისთვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს.

– რამდენი?

– რამდენიც აქვს, იმაზე ერთით მეტი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ბრაზილია–მექსიკა 2:0

სამარა. კოსმოს არენა
1:0 ნეიმარი (51), 2:0 ფირმინო (88)
ბრაზილია: ალისონი, ფაგნერი, სილვა, მირანდა, ლუისი, კაზემირო, პაულინიო (ფერნანდინიო 80), ვილიანი (მარკინიოსი 90), კოუტინიუ (ფირმინიო 86), ნეიმარი, ჟესუსი
მექსიკა: ოჩოა, ალვარესი (ჯ.დოს სანტოსი 55) აიალა, სალსედო, გალიარდო, ერერა, მარკესი (ლაიუნი 46), გუარდადო, ლოსანო, ველა, ჩიჩარიტო (ხიმენესი 60)

არ გამოდგა მექსიკა ისეთი იოლი ბარიერი, როგორც ამას ბრაზილიის გულშემატკივრები ელოდნენ. მეტიც, ხუან კარლოს ოსორიოს შეგირდებმა ისეთი პრესინგი შესთავაზეს თავიდან მეტოქეს, ბრაზილიელებს საჯარიმოდან ბურთის ამოტანა უჭირდათ.

საწყისი წუთების შემდეგ სამხრეთ ამერიკელებმა თითქოს დაალაგეს თამაში, ხიფათიც შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ დაბოლოება ძალიან უჭირდათ.

თავის მხრივ მექსიკელები კონტრშეტევებზე „იკბინებოდნენ“, მაგრამ სერიოზულ საფრთხეს ვერ ქმნიდნენ.

მეორე ტაიმი ბრაზილიელთა უპირატესობით დაიწყო და მალევე დაწინაურდნენ კიდეც. 51-ე წუთზე ნეიმარის დაწყებული კომბინაცია, ბრაზილიელის ლიდერის გოლითვე დასრულდა.

თამაში სამხრეთ ამერიკელთა უპირატესობით გაგრძელდა. ბრაზილია უფრო კლასიკურად თამაშობდა და მშვიდად მიჰყავდა თამაში გამარჯვებამდე.

88-ე წუთზე ტიტეს შეგირდებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, ნეიმარის დარტყმა ისევ მოიგერია ოჩოამ, მაგრამ ფირმინო იქვე გაჩნდა და მატჩის ბედი გადაწყვიტა – 2:0.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვილიანი

ბრაზილიელთა მარცხენა გარემარბი ძალიან სასარგებლო იყო გუნდში. ბრაზილიელთა ყველა ხიფათი მექსიკელთა კართან მისი აქტიურობით იწყებოდა. პირველი გოლიც მის მახვილგონივრულ თამაშს მოჰყვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ↘

შვეულად: 1. მოსახლეობის საერთო სახალხო გამოკითხვა; 2. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 3. საჭრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 4. ხარის, კამეჩის ტყავისგან დამზადებული ღვინის, წყლის საზიდი ძველებური ჭურჭელი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. ფრანგი ფილოსოფოსი; 17. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. დედამიწის მანათობელი.

თარაზულად: 1. სხვადასხვა ოპერების მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი იტალიური ოპერა; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 8. ქართული ზღაპარი; 10. ძალიან ლამაზი ბაღი; 11. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 12. ბალეტ „დონ-კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 14. სტადიონი მეხიკოში; 15. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 16. პოეტური ქმნილება; 19. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 20. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 21. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა



დემნა გვასალიამ ახალი კოლექცია ქართული წარწერებით გამოუშვა

ბალენსიაგას და ვეტემენტსის დიზაინერმა დემნა გვასალიამ მოდის მოყვარულებს ახალი კოლექცია წარუდგინა.

პარიზში, ღია ცის ქვეშ გამართულ ჩვენებაზე, დემნამ 80-მდე კოსტიუმი წარმოადგინა და ისინი საქართველოს დროშით, გალაკტიონის ლექსებით და წარწერებით „სოხუმი“, „ტანსაცმელი“ და „უფალო შეგვიწყალენ“ გააფორმა.

დემნამ მოდის კრიტიკოსებსა და მოყვარულებს გაზაფხული-ზაფხული 2019 წლის კოლექცია შესთავაზა. როგორც მოსალოდნელი იყო, კოლექციამ დიდი მოწონება დაიმსახურა და ქართველ დიზაინერს მსოფლიოს მოდის წამყვანმა ჟურნალებმა ვრცელი სტატიები მიუძღვნეს.

დემნას ახალი კოლექციისთვის პარიზში ჩავიდნენ ქართველი მოდელები, რომლებმაც კოსტიუმები წარადგინეს.

დემნა გვასალია:

– სამოსის კეთების მაგივრად, გავაანალიზე, რომ მინდა ისტორია გითხრათ. დავუბრუნდი ნამდვილ ფესვებს ჩემს ნაღვლიან ქვეყანაში. შოუს შემადგენლობა საქართველოში ავიყვანეთ, 40-ზე მეტი ადამიანი საქართველოდანაა. ისინი გამოვიყენე, როგორც ხმა ახალგაზრდობის, რომელიც მათ არ აქვთ და რეპრესირებულები არიან პოლიტიკური რეჟიმით, ვერ ამბობენ, ვერ გამოხატავენ იმას, რასაც ფიქრობენ. ჩემთვის მტკივნეული დრო იყო, მინდოდა ეს გარეთ გამომეტანა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა